140/1951/3

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერი

8
1951

პიონერი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

№ 8 აგვისტო 1951

საბლიტგამი

წელიწადი XXV

ПИОНЕРИ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლობელი ვართ ზაფხულის

გვემშვიდობება ზაფხული,
სამხრეთს გახედა მერცხალმა,
ფოთლებს ტყეებში გორებზე
აქა-იქ ფერი ეცვალა.

საშემოდგომო ყვავილებს
მკერდზე იბნევენ კორდები...
ღამდება, კოკონს ვაჩაღებთ
და ბანაკს ვემშვიდობებით.

შინისკენ ვილტვით, შუქს ვტაცებთ
ვარსკვლავებს ნაპერწკლიანებს,
მალე სექტემბრის პირველი
სკოლის ზარს ააწკრიალებს.

მადლობელი ვართ ზაფხულის,
ბევრი სიამე გვარგუნა,
არ მოგვაკარა ავდარი
მთის დამსეტყვავი, ავგული.

ძალა შეგვმატა, არ იყო
უსხეოდ წუთის გამშვები,
ერთმანეთს დაგვამეგობრა
სხვადასხვა კუთხის ბავშვები.

დღეს შინ ვბრუნდებით, შუქს ვტაცებთ
ვარსკვლავებს ნაპერწკლიანებს,
მალე სექტემბრის პირველი
სკოლის ზარს ააწკრიალებს.

გიორგი კაჭახიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როდიონ ქორქია **მ ო თ ხ რ ო ბ ა** მხატვარი გლებ დიკი

გოგიმ უკანასკნელად მოუსვა სურათზე ფუნჯი, სახელი მოაწერა და შორიდან მიაჩერდა.

სურათი წარმოადგენდა ზღვისა და ადამიანის შეჯახებას. ზღვას მოურღვევია მიწა. გახლეჩილ მიწას პირი დაუღია, თითქოს შველას ითხოვსო. ზევით, მიწაზე, ოქროსფერი ნაყოფით დაყურსული ლიმონის ხე დგას, გვერდით ვერცხლისფერი ევკალიპტი და ზურმუხტისფერი პალმა გარინდულან. დაბლა, ზედ ტალღასთან, ადამიანები ფუსფუსებენ, ქვას ქვაზე აწყობენ, ჯებირს აგებენ. შორს რაღაც მანქანა მოჩანს, რომელიც იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ზღვას თანამედროვე ტექნიკით ებრძვიან.

„არ დაგანებებთ!“ — ასეთი წარწერა ჰქონდა სურათს.

მართლაც, სურათზე ოსტატურად იყო გამოხატული ადამიანის ქადილი ზღვის მიმართ.

გოგის მოეწონა თავისი შრომის ნაყოფი და მიიხედა იქითკენ, სადაც ზღვას ებრძოდნენ ადამიანები. როგორი სიმტკიცით, როგორი გულდაჯერებით აგებენ რკინა-ბეტონის ჯებირს, ამაგრებენ ნაპირს, რომ ზღვამ არ მოგლიჯოს მიწა და არ შთანთქას თავის გაუმაძღარ უძირო მუცელში. აქ კი ხშირი ყოფილა ასეთი შემთხვევები, აქ, ამ ზღვისპირეთის ქალაქში, სადაც მიწის ყოველი მტკაველი თავის წონა ოქროდ ღირს.

გოგი ჩამოსვლისთანავე გააკვირვა ამ ქალაქმა. ჯერ იმან გააკვირვა, რომ მთელი ქალაქი ერთ ქუჩაზე იყო გადაჭიმული. გრძელი იყო ეს ქუჩა, მაგრამ მაინც ერთი იყო. ქუჩის ზემო ნაწილი მთის კალთებს ჰქონდა დაკავებული, ხოლო ქვემო ნაწილი ბაღებს. ბაღების ქვემოთ ზღვა იწვა, ვრცელი და უსასრულო. ალაგ-ალაგ ქუჩა ისეთი ვიწრო იყო, რომ ერთი ავტომობილი თუ გაივლიდა. აქ ქუჩა მოსევადებული ქამარივით შემორტყმოდა მთას. მთის კალთებზე მაღალი შენობები ჩამსხდარიყვნენ პალმების, ნაძვებისა და ფიჭვების ხეივნებში. ეს შენობები დასასვენებელი სახლები იყო. ზღვისპირა ნაწილში ბაღებშიც ლამაზი შენობები მოჩანდა. ესეც ან დასასვენებელი სახლები იყო, ან საცხოვრებელი. გოგი ხედავდა, რომ ყოველი გოჯი ამ მიწისა ადამიანის ხელით იყო გალამაზებული.

მერე იმან გააკვირვა გოგი, რომ ეს ლამაზი და ბრჭყვიალა ზღვა ხანდახან ავი და ბოროტიც ყოფილა. დროდადრო გაშმაგდება თურმე, დაეძგერება ნაპირს და დაუწყებს ნგრევას. მოგლეჯს მიწას, დაითრევს, შთანთქავს. განა მარტო მიწას?! მიწაზე გაშენებულ ბაღსაც შთანთქავს!

გოგიმ გაიგო, რომ ქალაქს ხშირად მოსდიოდა ზარალი აბობოქრებული ზღვისაგან. გაიგო ისიც, რომ აქ გადაუწყვეტიათ ზღვასთან ბრძოლა და მისი დამარცხება, მიწის დაცვა რკინა-ბეტონის სქელი და გრძელი ჯებირით.

გოგი კმაყოფილი იყო, რომ აქ ჩამოვიდა. მას ძალიან უნდოდა ზღვის ნახვა. ერთხელ კინოში ნახა ზღვა და აუხირდა მამას: გინდა თუ არა ზღვა მაჩვენეო.

— აი, გადახვალ მეექვსე კლასში, გაგაგზავნი ბიძაშენთან გაგრაში, — შეჰპირდა მამა.

აუსრულა მამამ სურვილი — დადგა ზაფხულის არდადეგები და გოგიც გაგრაში გაგზავნა.

გოგიმ თან წაიღო სახატავი ხელსაწყოები. მხატვარი იყო. სკოლის კედლის გა-

მარქსის სახ. ... ბიბლიოთეკა

ზეთს ყოველთვის გოგი აფორმებდა. პირველი მაისისა და ოქტომბრის დღესასწაულზე ყოველთვის გოგის სურათებს გამოფენდნენ ხოლმე სკოლაში. გოგის განზრახული ჰქონდა ზღვა დაეხატა.

მართლაც, ზღვამ პირველი დანახვისთანავე მოხიბლა გოგი თავისი სიდიდით, ფაფარაყრილი ტალღებით და იმ უამრავი ფერით, რომელიც ზღვაზე ჩნდებოდა. ამიტომ მთელი დღეების განმავლობაში თვალს ვერ აშორებდა ზღვას. უძრავ მთებს შეჩვეულ თვალებს მოუსვენარი ზღვა იტაცებდა, იზიდავდა.

მაგრამ ერთ ღამეს გოგი გააღვიძა უცნაურმა, გაუგონარმა ყრუ გრგვინვამ. ასეთი გრგვინვა თუ ღმუილი გოგის არ გაუგონია თავის მთიან სოფელში. გაბმით, დაუსრულებლივ, ყრუდ ღმუოდა რაღაც... და გოგის შეეშინდა.

— ზღვა ღმუის! — დაამშვიდა ბიძამ გოგი, შემდეგ ცოლს მიუბრუნდა და უთხრა:

— ჯებირზე უნდა წავიდე, ვინ იცის, რა მოხდება!

მეორე დღეს დილაადრიან გოგიც წავიდა ზღვაზე. გაოცდა, ისეთი სურათი ნახა. ერთგან ზღვას კარგა მანძილზე მოერღვია ნაპირი და გაეფუჭებინა ბაღი. ადამიანები იდგნენ მორღვეულ ნაპირთან და ბრაზით შეჰყურებდნენ ზღვას, რომელიც ისევ ღმუოდა, შხუოდა, მაგრამ თან ეტყობოდა, რომ ცხრებოდა.

გოგიმ მხოლოდ ახლა მიაქცია ყურადღება ჯებირს, სადაც ბიძამისი და მუშები იდგნენ და გამალებით მუშაობდნენ.

საოცარია, რატომ პირველ დღეებშივე არ მიაქცია ყურადღება გოგიმ ამ ჯებირს? ჯებირი ჯებირიაო და ჩაუვლიდა გვერდით. თავის რაიონში მას ჯებირზე უფრო დიდი მშენებლობაც უნახავს.

თურმე რაში ყოფილა საქმე! ბიძამისი ინჟინერი, კიდევ სხვა ინჟინერი და მრავალი მუშა ჯებირს ავლებენ ნაპირს, რომ დაიფარონ იგი ზღვისაგან. თურმე ეს ნაპირი რამდენადაც ლამაზია და მდიდარი, იმდენად უღონოა გამხეცებული ზღვის წინააღმდეგ და საჭიროა ნაშრომისა და მიწის დაცვა ამ ბრმა ძალისაგან.

გოგი მიუახლოვდა ჯებირის მშენებლებს. გულდასმით, მტკიცედ აგებდნენ რკინა-ბეტონის ჯებირს. ჯებირი კარგა მანძილზე იყო გაკეთებული, მაგრამ ჯერ კიდევ კარგა მანძილზე უნდა შემორტყმოდა მიწას და დაეცვა იგი. ბიძამისი ხშირად გაჰყურებდა ზღვას, თითქოს ექადნებოდა: — არ დაგანებებთ! — მუშებს კი მოკლედ ეტყოდა:

— ყოჩაღად, ამხანაგებო! არ დავანებოთ!

გოგის ელვასავით გაურბინა აზრმა: —

— უნდა დავხატო ზღვასთან ბრძოლა და ვუწოდო სურათს „არ დაგანებებთ!“

და, აი, ორი თვის გულმოდგინე შრომის შემდეგ სურათი მზადაა.

ზღვას, ამ ლამაზ მხეცს, ლაგამი ამოსდო გოგიმ სურათზე. ცხადია, იქ, ხაპირზე, ჩქარა ამასვე გააკეთებენ საბჭოთა ადამიანები.

2

ყოველდღე, საბანაოდან დაბრუნებისას, გოგი შეივლიდა კურორტის მშენებელთა კლუბში. კლუბის დარბაზში მისი დახატული სურათი ეკიდა. სურათი ჩასმული იყო ლამაზ ჩარჩოში. გოგი მიუჯდებოდა მაგიდას და კითხულობდა გაზეთს. ხანდახან ცალი თვალით თავის სურათსაც გახედავდა. იმავ ცალი თვალით მკითხველებსაც ათვალიერებდა: ისინიც უმზერენ თუ არა სურათსო.

დღესაც მოვიდა გოგი კლუბში. კვირა დღე იყო და მკითხველებიც მეტი იყო დარბაზში. გოგიმ ჩაუარა სურათს, ცალი თვალით ახედა, ცალი თვალით ადგილი მოძებნა სად დამჯდარიყო.

გოგიმ შენიშნა, რომ ერთი გაზეთი ხელიდან ხელში გადადიოდა, ათვალიერებდნენ, ყველა გოგისაკენ იყურებოდა. სამი ბიჭი ადგა კიდეც, გოგის ადგილი დაუთმეს. მოზრდილებმა გაუღიმეს. კლუბის გამგემ შორიდან გაუცინა გოგის და თავი დაუკრა.

— უნდა დავხატო ზღვასთან ბრძოლა და ვუწოდო სურათს „არ დაგანებებთ!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგიც ზრდილობიანად მიესალმა. ოღონდ ვერ გაეგო, რა მოხდა ისეთი, რომ ასე უყურებენ. სურათი? ეს ხომ ორი კვირაა, რაც აქ კიდია! სხვა რა უნდა მომხდარიყო? და რადგან გოგის არ უყვარდა, როცა მას უყურებდნენ, ადგა და ფანჯარასთან დაჯდა. ჟურნალი გაშალა.

დარბაზში ბიძამისი შემოვიდა, ვიღაც სათვალებიანი ახალგაზრდა კაცი შემოჰყვა.

— აი, სად ყოფილა ჩვენი მხატვარი! — წამოიძახა ბიძამ და მიუბრუნდა სათვალებიანს, — გაიცანით, ამის დახატულია ეს სურათი.

უცნობმა კაცმა გოგის ხელი გაუწოდა, გაულიმა და რუსულად დაელაპარაკა. მისი ნათქვამიდან გოგის მხოლოდ სამი სიტყვა დაამახსოვრდა: „ოჩენ... კარტინა... კორესპონდენტი...“

უცნობმა კაცმა გოგის გაზეთი გაუწოდა და კიდევ რაღაც უთხრა.

გოგიმ გაშალა გაზეთი და სიხარულისაგან თვალები გაუფართოვდა: გაზეთის მეორე გვერდზე, შუა ადგილას, მისი სურათის რეპროდუქცია იყო დაბეჭდილი. სურათის ქვეშთ პატარა წერილი იყო. გოგიმ გაულიმა რამდენიმე ნაცნობ სიტყვას: „გოგი... გაგრა... პიონერი... მორე... სოლნეჩნაია გრუზია“.

ეჰ, კარგად იცოდეს რუსული, როგორ გამოადგებოდა ახლა!

გოგიმ თავი ასწია. მთელი დარბაზი მას უყურებდა.

მაშინ იყო, რომ ადგა კლუბის გამგე ქალი და ქართულად თქვა:

— შეხედეთ, დღეს მოსკოვის გაზეთში დაბეჭდილია ჩვენი პიონერი გოგის სურათის რეპროდუქცია. სასიხარულოა. მართალია, სურათი კარგია, მაგრამ აქ მთავარი ისაა, რომ მოსკოვის თვალი ასე ფართოდ სწვდება ყველაფერს კარგს, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება. მადლობა მოსკოველ კორესპონდენტს, რომ ეს სურათი საკავშირო ტრიბუნაზე აიტანა.

შემდეგ კორესპონდენტმა ილაპარაკა, მაგრამ გოგიმ ისევ რამდენიმე სიტყვა გაიგო.

და როცა გარეთ გამოვიდნენ, როცა კორესპონდენტმა გოგის ხელი მოჰკიდა და ხეივანში სასეირნოდ წაიყვანა, გოგი მუნჯივით იყო.

გოგი ვერაფერს ეუბნებოდა იმ კაცს, რომელმაც მისი სახელი მთელ საბჭოთა კავშირს მოჰფინა.

და რადგან მუნჯისა და მეტყველის დამეგობრება ძნელია, ჩქარა დაშორდნენ ერთმანეთს.

დაშორებისას კორესპონდენტმა მოხეულ ქაღალდზე მისამართი დაწერა და გოგის გადასცა.

— რატომ დამიტოვა მისამართი? აკი იცის, რომ ვერ ვლაპარაკობ რუსულად! — უთხრა შინ დაბრუნებულმა გოგიმ ბიძას.

— იმიტომ დაგიტოვა, რომ ისწავლო და მისწერო, — უპასუხა ბიძამ. — განა შეიძლება საბჭოთა ქვეყანაში ცხოვრობდე და რუსული ენა კარგად არ ისწავლო?

გავიდა ერთი წელი და კორესპონდენტმა მართლა მიიღო წერილი. მართალია, ცოტა შეცდომა როდი იყო იმ წერილში, მაგრამ ადამიანი ესაუბრებოდა ადამიანს გასაგები ენით.



წერილი ასე თავდებოდა:

„ამ წელსაც გაგრაში ვიქნები. გამიხარდება, რომ შეგხვდეთ. მე თქვენი დიდი მადლობელი ვარ. ახლა სადაც უნდა მოვხვდე გაგრიდან ვლადივოსტოკამდე, ყველგან დაველაპარაკები მეგობარსა და ამხანაგს. ჩემს ამხანაგებსაც ვურჩევ უკეთ ისწავლონ რუსული ენა.

პიონერული სალმით გოგი“.

უკანასკნელი დღეები ბანაკში

ახლოვდება ახალი სასწავლო წლის დასაწყისი — პირველი სექტემბერი. პიონერხელმძღვანელს უნდა ახსოვდეს ეს თარიღი, ჯერ კიდევ იმ მომენტიდან, როდესაც პიონერებმა პირველად აღმართეს საბანაკო ალმები, პიონერხელმძღვანელმა უნდა იცოდეს, რაზმეულში რომელ პიონერს რა საზაფხულო დავალება აქვს, ან რა საგანში აქვს საშემოდგომო გამოცდა. უნდა გაითვალისწინოს ისიც, რომ თუ მთელი ზაფხულის განმავლობაში ბავშვი წიგნს ხელს არ მოჰკიდებს, შეიძლება მთლიანად დაავიწყდეს განვლილი მასალა. ამიტომ წიგნების კითხვა, მხატვრული დილები, სხვადასხვა თამაშობა — ყველაფერი ეს ხელს უნდა უწყობდეს სკოლაში მიღებული ცოდნის განმტკიცებას.

„რით დავბრუნდებით სკოლაში?“ — ასეთი საკითხი უნდა დააყენოს ხელმძღვანელმა პიონერული აქტივის წინაშე ჯერ კიდევ პირველ სექტემბრამდე კარგა ხნით ადრე. პიონერებს აინტერესებთ კოლექციის შეგროვება, ცოცხალი კუთხის მოწყობა, ალბომებისა და ჰერბარიუმების შეკრება, სხვადასხვა მოდელებისა და მაკეტების დამზადება და სხვა.

პიონერხელმძღვანელის ამოცანაა დაეხმაროს მათ ამ საქმეში.

ზაფხულის განმავლობაში ბანაკში ჩატარებული კონკურსები და შეჯიბრებები მთავრდება მხატვრული თვითმოქმედების საერთო საბანაკო დათვალიერებით, სპარტაკიადითა და ბავშვთა ნამუშევრების გამოფენით. მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებაში მონაწილეობენ ცალკეული შემსრულებლები და ჯგუფები, რგოლები, რაზმები.

საბანაკო სპარტაკიადა აჯამებს ბანაკში ჩატარებულ ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას.

ბანაკის დახურვის დროისათვის მოწყობილ გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ბანაკის მუშაობის ყველა მხარე: პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა პიონერებთან, ვამაჯანსაღებელი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა, კულტურული მომსახურება და ბავშვთა შემოქმედება.

განსაკუთრებით ფართოდ უნდა იქნეს ნაჩვენები პიონერთა შემოქმედება, საუკეთესო ტექნიკური თვითნაკეთი ხელსაწყოები, ნახატები, ქანდაკებები, მხატვრული ნაქარგები, სურათები, ჰერბარიუმები და სხვა.

ბანაკის დახურვა ეწყობა საზეიმოდ, ბავშვების ქალაქად გამგზავრებამდე ორი-სამი დღით ადრე. ზეიმზე იწვევენ მშობლებს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, კოლმეურნეებს, სოფლის ბავშვებს, პიონერებს მახლობელი ბანაკიდან.

ბანაკის საბჭოს თავმჯდომარე პარტიული, პროფკავშირული ან კომკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენელს აძლევს პატაკს ბანაკის მუშაობის შესახებ. შემდეგ ტარდება მასობრივი ფიზკულტურული გამოსვლები, ფიზკულტურულ-სპორტულ შეჯიბრებებში გამარჯვებულთა ფინალური შეხვედრები, მხატვრული თვითშემოქმედების კონცერტი. საღამოს კი ეწყობა გამოსათხოვარი საბანაკო კოცონი.

დამთავრდა პიონერული ზაფხული, ბავშვები მიაშურებენ მშობლიურ სკოლებს. საასწავლო წლის დასაწყისი შეიძლება აღინიშნოს სასკოლო საღამოთი, სადაც რაზმეული შეაჯამებს ზაფხულში ჩატარებულ მუშაობას, უჩვენებს მთელ სკოლას, რამდენი შესძინა ბავშვებს გონივრულად გატარებულმა საზაფხულო დასვენებამ.

პირველ სექტემბერს სკოლაში პირველად მოვლენ პირველკლასელები. მათთვის ეს

ღირსშესანიშნავი დღეა. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ეს დღე მათ დიდხანს ახსოვდეთ. უმცროსი კლასის მასწავლებლებთან ერთად უნდა მოეწყოს ეს ზეიმი ისე, რომ ბავშვებმა იგრძნონ უფროსების ამხანაგური მზრუნველობა. თვითეულ მათგანს უნდა გადაეცეს პიონერების ხელით გაკეთებული საჩუქრები. ეს უჩვენებს პატარებს, რომ მათი უფროსი და-ძმები — პიონერები — ზრუნავენ მათზე, უნდათ დაეხმარონ, რომ ისინი კარგი მოსწავლეები გახდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰოვანეს კარაპიანი

ის დილა ახლაც მახსოვს,
ის ალმაფრენაც მახლავს,
როცა დედიკოს ვუთხარ:
— მე ხომ დიდი ვარ ახლა!

სკოლაში მარტო წავალ,
გაყოლა აღარ მინდა.
კარგად გავიგნებ გზასა,
იყავ, დედიკო, მშვიდად! —

ღიმილით დამრთო ნება,
თან მიკოცნიდა ლოყებს.
— ფრთხილად იარე, შვილო,
მანქანის ქვეშ არ მოჰყვე.

— იყავ მშვიდად,—ვუთხარ
და ავიტაცე ჩანთა.
ჩემს ხმაში სითამამე
და აღტაცება ჩანდა.

რომ გავცდი მთავარ ქუჩას
ჟრუანტელდაუმცხრალი,
რატომღაც მოვიხედე,
დედიკოს მოვკარ თვალი.

ქუჩის კუთხეში იდგა,
თურმე კვალდაკვალ მდევდა...
შევხედე, გავთამამდი,
ავჩქარდი უფრო მეტად...

* * *

ახლა კაცი ვარ... ხსოვნა
იმ დაუვიწყარ დილის
დროდადრო აღმიტაცებს;
ვით მოგონება ტკბილი.

დიდი ცხოვრების გზაზე
მივდივარ მთელი ძალით,
და ჩემს გაბედულ ნაბიჯს
უმზერს სამშობლოს თვალი.

თარგმანი სომხურიდან **ი. გურჯულაძისა**

ქოლავენი

ლადო მრელაშვილი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ნახატვარი გ. გულისაშვილი

თვალწარმტაცია კავკასიონის ბუნება, იალაღებითა და არყის ტყეებით დაფარული, შიგადაშიგ ნაძვისა და ფიჭვის ხეებშერეული.

მნახველის ყურადღებას ატყვევებენ გადმოხეთქილი ჩანჩქერები, ხეობების ხვივილი, ჯორისძუასა და ცხენისტერფას* ქვეშ გაპარული ნაკადულები. მომაჯადოებლად იმზირება ზღაპრული ხალივით მოხატული საბალახოები, რომელთაც ალაგ-ალაგ ჟოლი მორევია. მრავალფეროვანია ეს არე-მიდამო. ხეებზე ქედნები ღუღუნებენ, ხის ძირებთან როჭოები დაგოგმანობენ. ზოგჯერ ეშმაკი მელია გახტება ბუჩქებში და მშიშარა კურდღელი ელვის სისწრაფით გარბის. წაბლის ხეზე ასული დათვები მწიფე ნაყოფს ბერტყავენ და თან ნებიერად ჩამობუბუნებენ ხის ძირში მოთარეშე ბელებს.

უფრო ზევით ალპური საძოვრები იწყება, სადაც პატარა ბუჩქიც კი არ ხარობს. ქვების ნახეთქში ამოსულა ქუჩი და ხავსი, რომელთაც ჯიხვები ეტანებიან. ამ ადგილებს ხორხებს უწოდებენ. აქედან ეშვებიან აქაფებული ჩანჩქერები. ჯიხვთა ამ სამკვიდრებელში სმენას ატკბობს შურთხების სტვენა. ჯიხვები ზოგან ჯოგებად, ზოგან ცალ-ცალკე ბალახობენ. ხშირად დაეჯახებიან ხარჯიხვები ერთმანეთს საჭიდაოდ და მათი რქების ჭახანი გაისმის მთიდან მთაზე, ხეობიდან ხეობაში.

აქ არც ირემია იშვიათი. ელიზბარმა იმ დღეს პირველად დაინახა ეს იშვიათი სილამაზის ცხოველი.

გულადი ბიჭია ცამეტი წლის ელიზბარი. ღამით ხევიდან ამოჰქონდა ცივი წყალი. აინუნშიც არ აგდებდა ოლოლის ძახილს და ფოცხვერის ჩხავილს. სწორედ ამ ხევის პირად ნახა მან ირემი. მშვენიერი იყო ეს ხარირემი ტოტებივით ნაყარი რქებით. დიდხანს უცქირა ელიზბარმა, ვიდრე ირემი თვალს არ მიეფარა.

---

* ჯორისძუა და ცხენისტერფა მთის ბალახებია.

გულადი რომ არის, იმიტომაც ჩააბარა მისმა ბიძამ, ფერმის გამგემ, ოცდაათამდე ცხვარი და ბატკანი, რომ ხევის პირს ეძოვებინა. მეორე დილით თავისი პატარა ფარა ელიზბარმა საძოვარზე გარეკა.

ქოხიდან კარგა მოშორებით არყის ტყის იქით მშვენიერი პატარა გორა იყო, რომელსაც ერთი მხრით ხევი ჩაუდიოდა. ამ ხევამდე იყო ელიზბარის ბიძის ფერმის საძოვრები, იმას იქით იწყებოდა დაღესტნის თვალუწვდენელი მთებითა და იალაღებით დაფარული საბალახოები. აქ ლეკების ნახირი, ცხენის ჯოგები და უთვალავი ცხვრის ფარა ძოვდა ნოყიერ ბალახს.

მისდევდა ელიზბარი თავის პატარა ფარას და ხანდახან შოლტს გადაუტყლაშუნებდა ცხვრებს. ბალახებზე ნამი ბზინავდა, თეთრგვირგვინიან გვირილებში აქა-იქ ყვითელ-ყვავილებიანი დათვისცერცვა გარეულიყო, საძოვარს შიგადაშიგ შავად შემოსილი ჟოლი მორეოდა, ხოლო ცხვრებისაგან აჭინჭყლულ ბილიკის პირებზე ლამაზი პირიმზე გადმოხრილიყო.

მიჰყვებოდა თავის პატარა ფარას ელიზბარი და მხოლოდ ერთი რამ ადარდებდა: ვერ იქნა და ვერ დაიყოლია გაგა, რომ ცხვარში წაჰყოლოდა. ჯერ იყო და კარგახანს უწრუპუნა და უყარა პურის ნატეხები, მერე ნაწევარი ლავაში გადაუგდო, ახლა ახალი სალაფავი ასუნებინა, შემდეგ წინაღამინდელი ხინკლის ნახარში ახვრეპინა, ბოლოს ცხვრის კანჭსაც დაჰპირდა, მაგრამ არ მოტყუვდა გაგა — როცა ელიზბარის მიერ შეთავაზებული საჭმელები მიირთვა, წავიდა და არხეინად გაწვა ყველის გუდებთან. ის ხომ მეცხვარეების კარვის მწყემსი ძაღლია.

ცხვარმა გაიარა არყის პატარა ტყე და ბალახის ძოვნით შეჰყვა გორის ფერდობს. ელიზბარი ავიდა გორაკის თავზე, პირი ცხვრისაკენ იბრუნა, ისე, როგორც უფროსებისაგან დაენახა, მერმე ქამრიდან ამოიძრო სალამური და დაუკრა.

მდუმარე იალაღს ელიზბარის სალამურის ხმა და წყაროს ლიკლიკილა აღვიძებდა. დროდადრო რომელიმე ცხვარი აიღებდა თავს მაღლა და პატარა მწყემსს მიაჩერდებოდა მცირე ხნით.

ბოლოს მოსწყინდა ელიზბარს სალამურის დაკვრა და პატარა ჩანთიდან წიგნი ამოიღო. ერთხანს კითხულობდა და როცა მოაგონდა, რომ ცხვარს წყალი მოსწყურდებოდა, ადგა, გაირეკა ცხვრები და ბატკნები გორის ძირში წყლის დასალევად.

უხაროდა ელიზბარს, რომ ამ ზაფხულს თვითონ უნდა მოევლო თავისი პატარა ფარისათვის, წუხდა მხოლოდ, რომ გვერდით გაგა არ ჰყავდა — ხომ ნამდვილ მეცხვარეს დაემსგავსებოდა ძაღლი რომ ჰყოლოდა, და მერე როგორი ძაღლი — მგელს ერთ ლუკმაზე გაათავებს.

ის იყო ფარა წყალს მიუახლოვდა, რომ გაღმა გორიდან მცირე ფარა გამოჩნდა და გეზი იმავე წყლისკენ აიღო. ფარას ელიზბარის ტოლი ბიჭი მოსდევდა, წელზე მოდებულ კომბალზე მკლავები გადაეწყო და არხეინად მოსტვენდა. ელიზბარმა მაშინვე მოისაზრა, რომ ამ ვიწრო ადგილას ორივე ფარა ერთმანეთში აირეოდა წყლის სმის დროს და რადგან თავის ცხვრებს ჯერ ისე არ იცნობდა, რომ სხვისაში გამოერჩია, ამჯობინა ის ბიჭი შეეჩერებინა — ჯერ ელიზბარის ცხვრებს დაელევნათ წყალი და მერე მიეშვა სხვისი ფარა. შეჩერდა და გასძახა:

— შენ, ეი, რომელი ხარ? გააჩერე ეგ შენი ცხვრები, თორემ ჩემს ცხვრებში გაერევიან!

ბიჭი შედგა, შუბლზე ხელი მიიჩრდილა, გორიდან ჩამომავალ ელიზბარს გახედა, ცოტა ხანს უცქირა ყურადღებით, მერე ისევ დაიწყო სტვენა და თავქვე დაქანებული თავის ცხვრებს მიჰყვა.

— შეხედე ამას, ვითომ არ ესმის! შენ, არ გესმის გააჩერე რასა ჰქვია?!

უცნობი ბიჭი კიდევ შედგა, კიდევ მცირე ხანს უცქირა ყურადღებით და მერე გზა განაგრძო.

გაბრაზდა ელიზბარი: სადაცაა ცხვრები წყალში ჩავლენ და გაერევიან ერთმანეთში, მერე სად უნდა აირჩიოს, რას ეტყვიან ბინაში, თავისი რომ დაკარგოს ან სხვისი ცხვარბატკანი მირეკოს თავისის ნაცვლად? ვინღა ანდობს ფარას!

გაცეცხლებულმა ელიზბარმა ერთიც შესძახა უცნობ ბიჭს გააჩერეო და თავდაღმართში დაეშვა, რომ თვითონ მაინც გაეჩერებინა თავისი ფარა, მაგრამ უკვე გვიან იყო. პირველად ელიზბარის ცხვრები დაეწაფნენ წყალს, ხოლო იმავ უცნობი ბიჭის ფარაც შეუერთდა მათ და ატყდა ხრაპაბრუპი და რქების ჯახუნი. ბრაზისაგან გადაირია ელიზბარი და წყლის პირას მომდგარ ბიჭს გაღმა გაუვარდა.

— შენ ქართული არ გესმის, რომ ასეთ ენაზე ლით გამხეთქე?! ყურებში ბამბა გიყეთია?!..

ცისფერი, მშვიდი თვალებით შეჰყურებდა ტოლს განცვიფრებული ბიჭი და ვერ მიმხვდარიყო რას ეუბნებოდნენ.

ეს კი მეტისმეტი იყო: ელიზბარს პასუხის ღირსადაც არ ხდიდნენ.

ერთბაშად აენთო მაშინ და თავისი გრძელი შოლტი გველივით დაახვია ბიჭს.

სრულიად მოულოდნელი იყო ბიჭისათვის ეს.

— რაო? რას ბურტყუნებ? შენ გეკითხებიან, — რათ დაურეე მეთქი შენი ცხვრები ჩემ ფარაში? — და წყლისაკენ მიუთითა.

ეს კი ვერ მოითმინა უცნობმა ბიჭმა და ელიზბარს გვერდებში კომბალი უცხუნა. ეძგერა ელიზბარიც უცნობს.

ამ დროს ხევში აბღავლდნენ ცხვრები და ქორდატევებული წიწილებივით გაღმა-გამოღმა ფერდობს შეეფინენ. უფრო გახშირდა ბღავილი და თქარათქური.

წუთით შეჩერდნენ მოჩხუბარნი და ძირს ჩაიხედეს, მერე გაუშვეს ერთმანეთს ხელი

— შენ, ეი, რომელი ხარ? გააჩერე ეგ შენი ცხვრები, თორემ ჩემს ცხვრებში გაერევიან!

უცნობმა ბიჭმა კომბლის ტარი მიაგება მგელს ელიზბარმა კი თავში ქვის ცემა დაუწყო.

და განცვიფრებისა და შიშისაგან პირები დააღეს: ხევ-ხევ გარბოდა ვეება მგელი და კისერზე მოგდებულ ცხვარს მიაქროლებდა.

მცირე ხანს ადევნეს მოჩხუბრებმა თვალი მგელს და მერე ერთმანეთს შეხედეს, დასტაცეს კომბალსა და შოლტს ხელი და მგელს თავი დაუარეს. მეტი გზა არ იყო — წაღებული ცხვარი უეჭველად ერთ-ერთისა იყო.

უეცრად მგელი შებრუნდა და ხრამს აუყვა. ელიზბარმა კარგად იცოდა ეს ხრამი და სირბილით ავარდა ფერდობზე, გაქანდა ხრამის სათავისაკენ და იქიდან დასჭყივლა. შემობრუნდა მგელი, ისევ ხევში შევიდა და წყლის დინების წინააღმდეგ წავიდა, მაგრამ აქ ის უცნობი ბიჭი დაუხვდა, ზევიდან დაჰკივლა და ზედაც კარგა მოზრდილი ქვა მიაყოლა. ნადირმა მაინც ნადავლი არ გააგდო, შებრუნებული გულხეთქებით ჩამოვარდა ისევ ხევში და თავქვე დაეშვა. დასჭყივლეს ზედიზედ ბიჭებმა ნადირს და ქვების სროლით მიჰყვნენ ხევის კიდეების გასწვრივ. დაბნეული ნადირი დაჰყვა ხევ-ხევ და იქ, სადაც ანკარა წყარო ოცდაათიოდე მეტრის სიმაღლიდან ძირს ჩანჩქერად ეშვებოდა, თავი ვეღარ შეიკავა და ქვების ზრიალსა და ჩანჩქერის ხრიალში ჩაიკარგა ძირს გადამზღვეული ნადირის შემზარავი ყმუილი და სასიკვდილოდ განწირული ცხვრის ბღავილი.

გულები ამოვარდნაზე ჰქონდათ ბიჭებს დრო აღარ ითმენდა. წუთით ძეყოვნებულ ძემდეგ ჩახჩქერის ძირისაკენ დაეშვნენ. ჩაალწიეს, როგორც იქნა, ძირამდე, ძაგრამ აქ აღარც მგელი დაუხვდათ და აღარც ცხვარი. ელიზბარს დაცეცხლა თავში — რაღა ეშველება ახლა, თუ ის ცხვარი მისია, ხომ აღარც ძიესვლება ბინაში? რას ეტყვის ბიძა? — „მაგას ძეკვეხებოდი, რომ თვალისჩინივით გავუფრთხილდებიო?“ აფსუს, რა ცხვარი იყო?!

ასევე ფიქრობდა ალბათ ის ბიჭიც.

წადგა ელიზბარი წინ და იმ ადგილს მიუახლოვდა, სადაც პატარა ჩანჩქერი ჩხრიალით ეცემოდა ძირს დაყრილ ლოდებს და ათას ფიფქლებად იმსხვრეოდა აყრილ ცხენისტერფასა და ჯორისძუას შორის.

უცებ წყლის ჩხრიალში კვნესისა და ღმუილის ძაგვარი ხმა გაარჩია ელიზბარძა და სიხარულით შეჰყვირა მოჩხუბარ თანატოლს:

— ცხვარი! აი, ცხვარი, ბიჭო!

ბიჭი გაქანდა იმ ადგილისაკენ და მიახლოებაც ვერ მოასწრო, რომ ნადირმა საშიელი ღრეხით სტაცა პირი.

ძირს გადმოვარდნილ მგელს ზრიალით დასცემოდა ლოდი, უკანა ფეხი დაეჩეჩქვა, ზედ დასწოლოდა და აღარ უშვებდა, ხოლო კლდეზე გამოჩრილ ქვებზე გვერდებდალეწილი ადგომასაც ვეღარ ახერხებდა, ყმუოდა ეგრე საწყალობლად.

ბიჭს მკვდრის ფერი დაედო, მაგრამ იმარჯვა და შარვლის ხახვი ჩაუტოვა პირში, ხოლო მოვარდნილმა ელიზბარძა მარჯვედ ნასროლი ქვით კბილები მიალეწა მგელს. გამწარებულმა მგელმა, როგორც იქნა, გაითავისუფლა ფეხი და ამ გაწამაწიაში ეძგერა ელიზბარს, გადაჩეხა ქვებზე და ის იყო უნდა დასწოლოდა ზევიდან, რომ უცნობმა ბიჭმა მოასწრო და კომბლის ტარი მიაგება პირში. განთავისუფლებული ელიზბარი მივარდა ნადირს და თავში ქვის ცემა დაუწყო. მგელი ახლა მას მიუბრუნდა, მაგრამ ბრძოლის თავი არ ჰქონდა. მალე მგელმა მოძრაობის უნარი დაკარგა, — იგი უკვე მკვდარი იყო.

ელიზბარძა სული მოითქვა როგორც იყო და ქერათმიან უცნობს შეხედა. დააკვირდა და დაინახა, რომ მისი ცისფერი თვალები იღიმებოდნენ. უცქირა ცისფერთვალამ და როდესაც დაინახა, რომ შავი თვალებიც ღიმილმა გააბრწყინა, რაღაც გაუგებარი წაიღაპარაკა და სახეგაბადრულმა სიყვარულით მოუთათუნა მხარზე ხელი უკვე დამეგობრებულ ელიზბარს. ელიზბარმა მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ უცნობს მკერდგაღეღილ ნახევარპალტოს ქვეშ ხალათზე პიონერის ნიშანი ეკეთა. ახლა კი მთელი გულით მიენდო წეღანდელ „მტერს“ ელიზბარი და გახარებულმა მიახალა:

— პიონერი ხარ, ბიჭო?

თვალებგაბრწყინებულმა ბიჭმა რაღაც წაილუღლუღა. ელიზბარმა ვერაფერი გაიგო. მხოლოდ ერთი სიტყვა ისეთი ჩაესმა, ლეკურ სიტყვასა ჰგავდა. ახლა კი მიხვდა ელიზბარი ბიჭის უთქმელობის მიზეზს. ან რა უნდა ელაპარაკა მას, ქართული ხომ არ იცოდა.

— უჰ, ლეკი ყოფილხარ, შე ოხერო? — ხელი ხელზე მოჰკიდა ელიზბარმა ოდნავ ნაღვლიანად, — აგრე ვერ მითხარი?

დაიწყო დამეგობრებულ ბიჭებს შორის საუბარი ნახევრად მუნჯურად, ხელების ქნევით.

რადგან არ იცოდნენ რომლისა იყო დაგლეჯილი ცხვარი, ბიჭებმა იქვე, ჩანჩქერის პირას, გამოაფეშხვავეს იგი, გაჭრეს შუაზე, შემდეგ მგელიც გაატყავეს და მალე აქეთიქით ბილიკებს შეუყვნენ თავთავისი გზით. ლეკის ბიჭმა ცხვრის ტყავში ჩადო თავისი წილი ხორცი, ხოლო ელიზბარს მგლის ტყავი იღლიაში ამოეჩარა, მხარზე ბურახის ფოთლები დაეფინა, ზედ ცხვრის ნახევარი დაედო და ხვნეშით მიჰყვებოდა მიმავალ ბილიკს...

...მას შემდეგ მრავალმა დღემ გაიარა. ბუნებამ ფერი იცვალა, ხოლო ლეკის ბიჭისა და ელიზბარის მეგობრობა უფრო განმტკიცდა.

ახლა უკვე აღარ ეშინოდათ ცხვრის დარევისა. ჩამოსხდებოდნენ ხშირად მეგობრები გორის თავზე, რაკი შეუსევდნენ ნოყიერ ბალახს თავიანთ ფარებს, და ახლა უკვე დამტვრეული ქართულ-ლეკურით უყვებოდნენ ერთმანეთს წაკითხულს თუ გაგონილს.

ლაშქრობიდან დაბრუნებულნი

მოვდივართ ღიმშეფენილნი,
მოვიარეთ მთა და მდელო,
გავიცანით საყვარელი,
მშობლიური საქართველო.

საოცნებო ველებია,
საოცნებო მთები დგანან,
ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალი
გმირობისთვის გვაძლევს ძალას.

ზღვა ლურჯი და მოკამკამე,
მშვენიერი ბევრი მხარე
მოგვძახოდა თითქო ნორჩებს:
— მალე ისევ გაგვახარეთ!

ბარაქით და სილამაზით
სუნთქავს ჩვენი მთა და მდელო,
გავიზრდებით, ვასახელებთ
აყვავებულ საქართველოს!

იოსებ ნადაშვილი

★ ★ ★

საბჭოთა ახალგაზრდობის დიდი მოამაგე

სამი წლის წინათ, 1948 წლის 31 აგვისტოს, ჩვენმა პარტიამ და ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადა — დაკარგა თავისი ერთგული შვილი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი გამოჩენილი მშენებელი და მოღვაწე, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ანდრია ალექსანდრეს ძე ჟდანოვი.

ანდრია ალექსანდრეს ძე ჟდანოვი დაიბადა 1896 წლის 26 თებერვალს ქ. მარიუპოლში (ახლა ქ. ჟდანოვი) სახალხო სასწავლებლის ინსპექტორის ოჯახში. ამხანაგი ჟდანოვი 16 წლის ჭაბუკი იყო, როცა ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. 1915 წელს იგი შეუერთდა ბოლშევიკური პარტიის რიგებში. აქედან დაწყებული მთელი მისი ცხოვრების გზა ხალხისადმი, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის საქმისადმი თავდადებული სამსახურის შთამაგონებელი მაგალითია. მთელი რიგი წლების მანძილზე სახელოვნად ხელმძღვანელობდა იგი ლენინგრადის ოლქისა და ლენინგრადის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციებს.

უკანასკნელ წლებში ამხანაგი ა. ჟდანოვი დაძაბულ და მრავალმხრივ მუშაობას ეწეოდა როგორც საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი. ის იყო მარქსიზმის გამოჩენილი თეორეტიკოსი.

ამხანაგი ჟდანოვი თავდადებით ემსახურებოდა პარტიას, ხალხს.

ა. ჟდანოვის მრავალმხრივ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში თვალსაჩინო ადგილი ეჭირა საბჭოთა ახალგაზრდობისათვის, ჩვენი ნორჩი თაობისათვის ყოველდღიურ ზრუნვას. „ჩვენი პარტია, — ამბობდა ა. ჟდანოვი,—ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევდა და აძლევს ახალგაზრდობის როლს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში. ახალგაზრდობის სახით პარტია ხედავს თავის ახალგაზრდა რეზერვს, მომავალს თავისი ძველი თაობის მუშაკთა შესაცვლელად. ჩვენს ახალგაზრდობას ეკუთვნის მომავალი. ეს ახალგაზრდობა შეასრულებს გადამწყვეტ როლს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში“.

ანდრია ალექსანდრეს ძე ჟდანოვი ჩვენი ბედნიერი საბჭოთა ბავშვების მეგობარი იყო. მიუხედავად დიდი მუშაობისა, რასაც იგი ეწეოდა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ამხანაგი ჟდანოვი ყოველთვის პოულობდა დროს, რომ ბავშვებისათვის ეზრუნა. მას აინტერესებდა პიონერების ცხოვრება, მათი სწავლა, დასვენება. ჟდანოვის მითითებით ლენინგრადის პიონერებს გადაეცათ ქალაქის ერთ-ერთი საუცხოო შენობა — მეფის ყოფილი სასახლე, რომელიც პიონერთა სასახლედ გადაკეთდა. ანდრია ალექსანდრეს ძე პიონერთა სასახლის ხშირი სტუმარი იყო. იგი ესწრებოდა პიონერებისა და მოსწავლეების თვითმოქმედების დღესასწაულებს, სიამოვნებით ათვალიერებდა მათ ნახატებს, ისმენდა, როგორ კითხულობდნენ ისინი ლექსებს, როგორ ცეკვავდნენ, მღეროდნენ და სხ.

ამხანაგი ჟდანოვი მამობრივად ზრუნავდა ბავშვებზე. 1942 წლის 7 დეკემბერს, როცა ფაშისტი ბარბაროსები ყუმბარებს უშენდნენ ლენინგრადს, გმირი ქალაქის მძიმე ვითარებაში მან მხურვალე, გამამხნევებელი წერილით მიმართა ლენინგრადის № 17 საბავშვო სახლის აღსაზრდელებს: „ვუსურვებ ჩემს ძვირფას ახალგაზრდა მეგობრებს № 17 საბავშვო სახლიდან ჯანმრთელობასა და წარმატებებს სწავლასა და ცხოვრებაში. ვისურვებ, რომ თქვენ იზრდებოდეთ მედგარ, მტრისადმი შეურიგებელ ადამიანებად...“

საბჭოთა კავშირის პიონერებსა და მოსწავლეებს მუდამ ეხსომებათ ამხანაგი ჟდანოვის რჩევა-დარიგებანი.

მ. გიორგიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. გოგიაშვილი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი ვ. გელეცკაია

ბნელი ღამე იყო. ტყეში ვისვენებდით. ჩვენი პარტიზანული რაზმი მტერზე მორიგი თავდასხმის გეგმას ამუშავებდა; ამ დროს ძახილი შემოგვესმა:

— სდექ, ვინ მოდის?

— თქვენები ვართ...

— ხელები ზევით!

მთელი რაზმი ფეხზე დადგა.

გუშაგებმა ხელებაწეული უცნობები რაზმის მეთაურის კარავში შეიყვანეს. მცირე ხნის შემდეგ კარვიდან მეთაურის ხმა შემოგვესმა:

— ელიზბარ, შეენ?! ეს ხომ ჩემი თანასოფლელია! საიდან, როგორ?

უცნობი, რომელსაც რაზმის მეთაურმა ელიზბარი უწოდა, დინჯად ყვებოდა ამბავს.

ჩვენ კარავთან შეჯგუფულები ვუგდებდით ყურს ლაპარაკს. გავარკვიეთ, რომ მტერს იმათი სოფელი დაეკავებინა.

— ესენი ვინღა არიან? — იკითხა მეთაურმა.

— ეს ჩვენი მეზობელი სოფლის მასწავლებელი გახლავთ, ივან ვლადიმიროვიჩი. ამან მოგვიყვანა თქვენთან.

— თქვენ საიდანღა იცოდით ეს ადგილი? — კვლავ მოგვესმა ივან ვლადიმიროვიჩის ხმა.

— სოფსაბჭოს თავმჯდომარემ გამანდო! — იყო პასუხი.

— აჰა, გასაგებია! — ჩაილაპარაკა მეთაურმა.

— ეს პატარა ბიჭუნა კი ჩემი შვილია, დათო. ეს კი, დაფეთებულ თხასავით რომ იცქირება, ფრიცი გახლავთ, გზად შემოგვეყარა და საჩქარად მოგართვით! — განაგრძობდა ელიზბარი.

— კეთილი, ყველას თავისი ადგილი მიუჩინეთ. ხვალ მოვილაპარაკებთ, ეს მოენე კი აქ დარჩეს, — გასცა განკარგულება მეთაურმა.

როცა ყველანი თავიანთ ადგილებზე წავიდნენ, მამამ და შვილმა ჩვენს კარავში შემოყვეს თავი. სწორედ აქ გავიცანი ელიზბარი და მისი თმაქოჩორა ბიჭუნა დათო.

ამ ელიზბარის ბაბუა რაღაც საქმეების გამო ძველად საქართველოდან უკრაინაში გადმოხიზნულა და აქ დასახლებულა. ამის შემდეგ დარჩა ოა შერჩა ეს ოჯახი უკრაინას. ელიზბარს ხშირად უფიქრია საქართველოში დაბრუნებაზე, მაგრამ მამაპაპისეული სახლკარის დატოვება დანანებია. ელიზბარს ცოლად უკრაინელი ქალი ჰყავდა და ბედნიერად ცხოვრობდნენ. მაგრამ ომმა მათი ოჯახის სიმშვიდეც დაარღვია.

ჰოდა, იმას ვამბობ, მამამ და შვილმა მთელი რაზმის სიყვარული და ნდობა დაიმსახურეს. ელიზბარი მეტად მოხერხებული ვაჟკაცი იყო და რთული დავალებების შესრულებასაც კისრულობდა.

ზამთარი დადგა. ჩვენი რაზმი მოულოდნელი თავდასხმებით მტრის ნაწილებს ანადგურებდა. დათოს ხშირად შტაბში ვტოვებდით, მაგრამ არ ჩერდებოდა, წასვლისას აგვედევნებოდა. თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭი იყო და გული ბრძოლისაკენ მიუწევდა.

ერთხელ, ღამით, ელიზბარმა გერმანელთა მიერ დაპყრობილ სოფელში გახიზნული თავისი ქალიშვილის — პატარა მარინეს — სანახავად დააპირა წასვლა. დათოს დის ნახვა ენატრებოდა ოა მამას სთხოვა მეც წამოვალო. ელიზბარმა უარი ვერ უთხრა. რაზმის უფროსის მოადგილისაგან მიიღო ნებართვა. თვითონ რაზმის უფროსი ივან ვლადიმიროვიჩი იმ დროს შტაბში არ იყო, სადღაც სპეციალურ ოპერაციებზე წასულიყო.

სოფელში მისვლისას ელიზბარმა გაიგო, რომ მისი ნათესავები, სადაც მარინე იზრდებოდა, გერმანიაში მიჰყავდათ სამუშაოდ, ცხადია, მარინეც. მშობელი აინთო. აენთო დათოც. რა ექნათ?! უკან დაბრუნება და

რაზმის მოყვანა ადვილი საქმე არ იყო, არა და მამა-შვილი საყვარელ მარინეს სამუდამოდ უნდა გამოსთხოვებოდნენ. რამე უნდა ეღონათ. ამ ფიქრებში იყვნენ, რომ ერთი დიდი შენობიდან გერმანელი ჯარისკაცები ხმაურით გამოვიდნენ და სოფლელები გამორეკეს. გერმანელმა ფაშისტებმა უდანაშაულო ადამიანები ოთხ მწკრივად დააწყეს და გზას გაუყენეს. ელიზბარი და დათო ძათწინ სირბილით მიიკვლევდნენ გზას. სოფლიდან დაშორებით, დაახლოებით ერთ კილომეტრზე, შეჩერდნენ და ტყეს შეეფარნენ.

— ისინი აქ გამოივლიან, — უთხრა ელიზბარმა დათოს, ავტომატი მოიმარჯვა და ხეს ამოეფარა. დათომ ხელყუმბარა მოიმარჯვა და გაყუჩდა. ელიზბარს ერთი რამ არ ასვენებდა: სროლის დროს საკუთარი გოგონა არ მოეკლა. ამ ფიქრში იყო გართული, დათოს ხმა რომ მოესმა:

— მამა, მოდიან!

ელიზბარი გამოერკვა, დათოს წასჩურჩულა: როდესაც ის მტერს მოულოდნელად სროლას აუტეხდა, — დათოს ხელყუმბარა მტრისთვის უკან უნდა ჩაეგდო. გერმანელები იფიქრებდნენ: პარტიზანთა მთელი შენაერთი დაგვესხაო, რაც მათში დაბნეულობას გამოიწვევდა.

სოფლელები ბუზღუნით მოდიოდნენ. ნასვამ გერმანელ ჯარისკაცებს თოვლზე ფეხი უცურდებოდათ.

მალე ელიზბარის ავტომატი აკაკანდა. გერმანელებმაც გაისროლეს და პირი იბრუნეს. ახლა შეშფოთებულ მტერს დათომ შეაგება ხელყუმბარა. გერმანელები დაიბნენ, უწესრიგოდ ისროდნენ. ელიზბარის ავტომატი არ ცხრებოდა. დათოს მეორე ხელყუმბარამაც დაიქუხა, დაიქუხა მესამემაც... ფაშისტი ჯარისკაცები თოვლზე გაწვნენ. ბევრმა ტყვემ გაქცევით უშველა თავს.

წუთით სროლა შეწყდა.

— მარინე! — გაისმა დათოს ხმა. პასუხი არავის გაუცია.

— მარინე! —კვლავ გაისმა დათოს ხმა.

ამ დროს დარჩენილ ტყვეთა ბანაკს პატარა გოგონას ლანდი გამოეყო.

— შენ ხარ, დათო?! საიდან გაჩნდი აქ?

— აქეთ მოდი, შვილო! — გაისმა ელიზბარის ხმა.

— მამაც აქ ყოფილა?! — და მარინე მამისაკენ გაიქცა.

ის იყო ელიზბარმა მარინეს მკლავში ჩაავლო ხელი და დათოსთან ერთად ტყეს სიღრმეში უნდა გაეტაცა იგი, რომ გაისმა სროლის ხმა.

ელიზბარი ჩაიკეცა.

—მამა, მამა! — ერთად შესძახეს მარინემ და დათომ.

ელიზბარი ხმას არ იღებდა. იგი მტრის ტყვიით სასიკვდილოდ იყო დაჭრილი.

— მამა... მამა! — კვლავ ჩასძახეს შვილებმა მომაკვდავ მშობელს. მიხვდნენ, რაც ხდებოდა. დათომ მამის ავტომატს დაავლო ხელი, მაგრამ ამ დროს ვიღაცის ხელმა შეაჩერა იგი.

—გველის წიწილები! — გაისმა გერმანელი ოფიცრის ბოროტი ხმა. ამას მარინეს კიეული მოჰყვა. ფაშისტ ჯარისკაცს გოგონასთვის თმაში ჩაევლო ხელი.

— წამოათრიეთ! — დაიღრიალა ოფიცერმა, დარწმუნებულმა იმაში, რომ პარტიზანები ტყეში არ იყვნენ და მათგან ხიფათი არ მოელოდა.

— წამოათრიეთ! — კვლავ დაიღრიალა მან და ჯარისკაცმა ბავშვები გზისკენ წაათრია.

გერმანელებს ცოტა ტყვე შერჩენოდათ. მათი წაყვანა არ ღირდა, ამიტომ რამდენიმე

— დათომ მამის ავტომატს დაავლო ხელი, მაგრამ ამ დროს ვიღაცის ხელმა შეაჩერა იგი.

ჯარისკაცის თანხლებით ისინი სოფელში დააბრუნეს. დათო იქვე მახლობლად ნაცნობი ტყისმცველის სახლისკენ წაიყვანეს დასაკითხავად. მარინეც მას გააყოლეს.

* * *

ტყისმცველი ნიკიტა მოგრძო ულვაშზე ხელის გადასმით და დიდი ლაქუცით შეეგება სტუმრებს.

— ოჰო! სად იყვნენ ეს ძაღლის ლეკვები? —ჰკითხა მან გერმანელ ოფიცერს, როცა დათო და მარინე დაინახა.

— მამის დაკრძალვაზე გახლდნენ, — მკვახედ მიუგო ოფიცერმა.

ტყისმცველი შეფიქრიანდა.

— შენ, ეი, — შესძახა ტყისმცველს ოფიცერმა, — ეს ბარტყები პატარა ოთახში ჩაკეტე, შემდეგ უნდა დავკითხო, ჩვენ კი არაყი გვინდა, ხომ ხედავ, ამ თქვენს წყეულ უკრაინაში რა ჯოჯოხეთური სიცივეა. შენ რომ ჯუბით დაბრძანდები, ჩვენთვისაც სითბოა საჭირო.

ოფიცერმა პაპიროსი გააბოლა.

— რა ვქნა, ბატონო! ყოველ წუთს მზადა ვარ. ის არამზადა პარტიზანები არ გვასვენებენ, ახლაც სროლის ხმა იყო, ვერცხლისწყალივით არიან. ძნელია იმათი დაჭერა. დღეს აქ არიან, ხვალ იქ...

— ენა ნუ წაიგრძელე! რაც გითხრეს, ის შეასრულე! — გაჯავრდა ოფიცერი.

— ყველაფერი ამ წუთში იქნება, ბატონო ოფიცერო! — უპასუხა ნიკიტამ და ბავშვები ერთ პატარა ოთახში ჩაკეტა, ცეცხლი დაანთო, სუფრაც გააწყო და მცირე ხნის შემდეგ შეზარხოშებული გერმანელები უთავბოლოდ მღეროდნენ.

ნიკიტა ფინიასავით სულ იმათ შესცქეროდა და ემსახურებოდა.

შუაღამე უკვე გადასული იყო, როდესაც ოფიცერსა და ჯარისკაცს მაგიდაზე ჩაეძინათ. ტყისმცველმა მათ გადახედა, გავიდა და ხელში რკინის დიდი ურდულით დაბრუნდა, გერმანელების წინ შედგა და ურდული ჰაერში შემართა.

— სისხლი სისხლისა წილ! — ხმადაბლა თქვა მან, და რამდენიმე წამის შემდეგ თავგაპობილი გერმანელები იატაკზე უსულოდ ეყარნენ. ნიკიტამ ხელში სანათი აიღო, პატარა ოთახის კარი გააღო და ბავშვებს დახედა. ისინი შიშისაგან ერთმანეთს ჩახუტებოდნენ. მარინეს ლოყაზე ცრემლი დაჰკიდებოდა. ხელის შეხებაზე დათომ თვალები გაახილა, ბურანში ყოფილიყო. ის იყო ბიჭუნას უნდოდა დაეყვირა, რომ ტყისმცველი მისკენ დაიხარა:

— სსუ ჩუმად! შენი დაიკო ფრთხილად გააღვიძე, უნდა წავიდეთ...

— სად?! — იკითხა გაოცებულმა დათომ...

— სადაც საჭიროა...

— მე არსადაც არ წამოვალ, რა გინდათ ჩვენგან! — წამოიძახა დათომ და მარინეს ხელები მოხვია.

მარინე შეიშმუშნა.

ტყისმცველმა სწრაფად ჩამოიგლიჯა წვერ-ულვაში და... დათოს წინ პარტიზანთა მეთაური ივანე ვლადიმიროვიჩი იდგა. მას თურმე პარიკი ჰქონდა გაკეთებული.

— ძია ივანე... თქვენ! — წამოიძახა გაოცებულმა დათომ.

— სსუ... ჩუმად... სიფრთხილეა საჭირო... ხმა არ ამოიღო... აბა, წავიდეთ!

დათომ მარინე გააღვიძა, ყველაფერი აუხსნა.

ისინი დიდ ოთახში გამოვიდნენ. აქ ბავშვებმა ზიზღით დახედეს იატაკზე დაყრილ მამისმკვლელებს. ივანემ გერმანელებს იარაღი ააცალა და სამზარეულოში გავიდნენ. მაგრამ ივანე ვლადიმიროვიჩმა ბავშვებს აუხსნა, რომ ეს იყო ნამდვილი ტყისმცველი.

— სამშობლოს მოღალატისათვის და გამცემისათვის სხვა უკეთესი სასჯელი არ არსებობს, — თქვა ივანემ.

ბავშვები ყველაფერს მიხვდნენ.

მალე სამივენი ღამის წყვდიადში გაქრნენ.

* * *

ამასწინათ თბილისიდან ბათუმისაკენ მივემგზავრებოდი. ზესტაფონში ვაგონიდან გამოვედი. ახალი გათენებული იყო და მინდოდა სუფთა ჰაერი ჩამესუნთქა. უცებ შემხვედრი სატვირთო მატარებლის მემანქანემ მიქცია ჩემი ყურადღება.



— ნაცნობი სახეა, — გავიფიქრე.

— ნაცნობი სახეა, — გავიფიქრე და ვერ მოვიგონე, თუ საიდან ვიცნობდი ამ ახალგაზრდა მემანქანეს. ცხობისმოყვარეობამ მძლია, ის იყო ვიხაობა უოდა მეკითხა ძისთვის, რომ მატარებლის უფროსის ხმა 'მემოძესმა:

— დათო აიღე, გემრიელია, — და ყურძენი მიაწოდა.

დათოს ხსენებაზე ყველაფერი მომაგონდა, ჩემ თვალწინ გაიელვა უკრაინის ბრძოლებმა, ელიზბარმა, მარინემ და უნებურად წამოვეძახე:

— დათო, დათო!

მემანქანე მომაჩერდა.

— დათო, ვერ მიცანი?! — და ელმავლის კიბეზე ფეხი შევდგი. დათოს თვალები გაუბრწყინდა, ხელი გამომიწოდა და ერთმანეთს გადავეხვიეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათოს ლაპარაკიდან გავიგე, რომ ის ომიდან საქართველოში ნათესავებთან ჩამოსულა, აქ რკინიგზის სახელოსნო სასწავლებელი დაუმთავრებია და მემანქანე გამხდარა.

მეორე ზარი დაირეკა.

— მარინე სად არის? — ვკითხე დათოს და აჩქარებულმა ვაგონს მივაშურე.

— თბილისში სწავლობს ჭრა-კერვის სკოლაში, — მომაძახა მან. მეტის შეკითხვა ვერ მოვასწარი, ვაგონში შევედი და დათოც თვალს მიეფარა.

ბავშვებს გაუჩნდათ საქმე—
ჰყავთ აბრეშუმის ჭია,
ხათუნა ლასტებს ღობავს,
თუთის ტოტებს ჭრის მზია,
ლიას მინდვრიდან მოაქვს
საცახე რძიარძია.

ყველა ფუსფუსებს, შრომობს,
ყველა თადარიგს იჭერს,
უსაქმოდ ნუ ზიხართო—
ნუნუ უწყრება ბიჭებს.

— კარგი, ნუ ჯავრობ, კმარა,—
ამბობს ღიმილით რეზო,
მას მიეშველა გია,
გვიმრით აავსეს ეზო.

და უხარია ყველას,
დარი დაუდგათ კარგი...
ცახზე გამოჩნდა მალე
კაკლისოდენა პარკი.

ბებოც მოვიდა, ნახა,
ბავშვების შრომას აქებს,
ან კი ვინ დაუწუნებს
ამ ჩვენს მალხაზებს საქმეს!

მირონ სურგულაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბრები მშვიდობისათვის

მებრძოლებზე

ნაზიმ ჰიქმეთი

მე თუ არ დავიწვი,
შენ თუ არ დაიწვი,
ჩვენ თუ არ დავიწვით, —
ბნელს რა გაანათებს?!

ნაზიმ ჰიქმეთი.

ნაზიმ ჰიქმეთის სახელი ცნობილია მთელ მსოფლიოში. იგი მილიონობით მშრომელთა გულის ხმის მომღერალია, პროგრესულიკაცობრიობის ნათელი მიზნების განხორციელებისათვის გმირი მებრძოლია. იგი ერთ-ერთი უდიდესი და თვალსაჩინოა მსოფლიოს სახელმოხვეჭილ დემოკრატ პოეტთა შორის.

ცხოვრების მეტად მძიმე გზა განვლო ამ დიდმა თურქმა პოეტმა. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, ხაზღვაო სასწავლებლის მოყაფე, იგი ებმება რევოლუციურ მუშაობაში, დგება თავისუფლებისათვის მებრძოლ მეზღვაურთა მოყინავე რიგებში. ვერც ციხეებმა, ვერც თურქ რეაქციონერთა დევნა-შევიწროებამ, ვერც რევოლუციური მუშაობის სიძნელეებმა ვერ გატეხეს პოეტის სული.

1920 წელს ახალგაზრდა ნაზიმ ჰიქმეთი ახერხებს მოსკოვს ჩასვლას. აქ იგი სწავლობს აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტურ უნივერსიტეტში, ისმენს დიდი სტალინის ლექციებს, ეცნობა და ეზიარება დიდი რუსი ხალხის კულტურას, ეუფლება მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმომცველ თეორიას, უახლოვდება და უმეგობრდება რევოლუციის დიდ პოეტს ვლადიმერ მაიაკოვსკის. მოსკოვში იგი 1924 წლამდე სწავლობს. ეს წლები საუკეთესო პერიოდად რჩება მთელ მის ცხოვრებაში, ამ წლების მოგონებას პოეტი უძღვნის მაღალმხატვრულ და მაღალიდეურ მრავალ ლექსს.

მოსკოვი, კრემლი, დიდი სტალინი! — აი მანათობელი შუქურა, რომელიც ნაზიმ ჰიქმეთს, ისე, როგორც თავისუფლებისათვის მებრძოლ ყველა პატიოსან ადამიანს, გზას უკვლევს.

იცოდა რა ძალა უნიჭიერესი პოეტის ლექსისა, თურქეთის რეაქციონერმა მთავრობამ ბევრჯერ მოუსპო ჰიქმეთს თავისუფლება — ჩაკეტა ბნელი ციხის ჯურღმულში, ხოლო უკანასკნელად მთელი 12 წლის განმავლობაში პოეტი განუწყვეტლივ ჩაკეტილი იყო საკანში, თავისუფლებას მოკლებული.

მაგრამ ციხის ბნელი საკნიდანაც მოისმოდა ნაზიმ ჰიქმეთის მომწოდებელი ხმა. აქ დაწერა მან მრავალი შესანიშნავი ლექსი და მათ შორის უკვდავი პოემა „ზოია", მიძღვნილი დიდი რუსი ხალხის სახელოვანი ქალიშვილის, დიდი სამამულო ომის ლეგენდარული გმირის ზოია კოსმოდემიანსკაიასადმი.

ნაზიმ ჰიქმეთის მრავალი ლექსისა და პოემის, მრავალი პუბლიცისტური ნაწერების ქვეშ ვკითხულობთ: „დაწერილია ციხეში".

აუწერელი ტანჯვა გამოიარა ნაზიმ ჰიქმეთმა თურქეთის პატარა ქალაქ ბრუსას ბნელი ციხის საკანში. აქ მას გული დაუავადდა.

ნაზიმ ჰიქმეთი

პოეტი მოითხოვდა თავისუფლებას, მაგრამ ამაოდ! გარდა ნაზიმ ჰიქმეთისა, თურქეთის ციხეებში ჩაყრილი იყო თავისუფლებისათვის მებრძოლი 1176 მასწავლებელი და პროფესორი. არჩევნების დაწყების წინ თურქეთის მთავრობამ, თურქი ხალხის თვალის ასახვევად და გულის მოსაგებად, გადაწყვიტა გამოეცხადებინა ამნისტია და გაეთავისუფლებინა 350 პატიმარი, მათ შორის ავადმყოფი ნაზიმ ჰიქმეთიც. მაგრამ იმ დღეს, როცა ამნისტიაზე ხელი უნდა მოეწერათ, თურქეთში ჩამოვიდნენ ამერიკელი გენერალი კოლინსი და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი უოდსვორტი. ამერიკელთა კაბალაში მომწყვდეულ თურქეთის მთავრობას, როელმაც თავისი ხალხი მიჰყიდა ოკეანისგაღმელ იმპერიალისტებს, შეეშინდა ჩამოსული „სტუმრების" გულისწყრომისა და ხელი აიღო ჰიქმეთის განთავისუფლებაზე.

მრავალტანჯულმა, ისედაც დაავადებულმა პოეტმა გამოაცხადა შიმშილობა. იგი არ ეკარებოდა საჭმელს, რომელიც ციხის დარაჯს მის სარკმელთან მიჰქონდა. ასე გრძელდებოდა დიდხანს. პოეტი სულ უფრო და უფრო უძლურდებოდა. შვილისადმი თანაგრძნობის ნიშნად შიმშილობა გამოაცხადა პოეტის მოხუცმა დედამ ჯელისმაც.

ნაზიმ ჰიქმეთი და მისი მოხუცი დედა მარტონი არ იყვნენ თურქ რეაქციონერთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ნაზიმ ჰიქმეთის გასათავისუფლებლად აღდგა მთელი მოწინავე კაცობრიობა. მსოფლიოს პატიოსანი ადამიანები, მშრომელები, მოწინავე ინტელიგენცია ხმას იმაღლებდნენ და მოითხოვდნენ დიდი თურქი დემოკრატი პოეტის განთავისუფლებას. საბჭოთა კავშირის პოეტებმაც მიმართეს თურქეთის მთავრობას ციხიდან გამოეშვათ ნაზიმ ჰიქმეთი, წინააღმდეგ შემთხვევაში, — სწერდნენ ისინი, — თურქი ხალხის საყვარელი პოეტის შიმშილით სიკვდილი ციხეში, მოურეცხავი სირცხვილი იქნება თურქეთის მთავრობისათვის, ეს გამოიწვევს მთელი მსოფლიოს მშრომელთა აღშფოთებასო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც უფრო მეტ ტანჯვას აყენებდა თურქეთის მთავრობა დიდ პოეტს, მით უფრო საყვარელი, ძვირფასი ხდებოდა თურქი ხალხისათვის ნაზიმ ჰიქმეთის ლექსები. ამ ლექსებს ჩუმად ავრცელებდნენ, მოსწავლეები მას იზეპირებდნენ.

და ჰა, დააღწია ნაზიმ ჰიქმეთმა თავი ციხის ბნელ საკანს. თურქეთის ხალხისა და მსოფლიოს ასეულ ძალიონობით მშრომელთა აღშფოთების მეოხებით თურქეთის რეაქციონური მთავრობა იძულებული გახდა გაეთავისუფლებინა იგი.

მალე ნაზიმ ჰიქმეთს მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემია მიენიჭა.

ციხის ჯურღმულებისაგან თავდაღწეული დიდი დემოკრატი პოეტი ისწრაფოდა საბჭოთა კავშირისაკენ, მოსკოვისაკენ.

და აი, ამას წინათ ბუქარესტიდან, სადაც განთავისუფლების შემდეგ რამდენიმე ხანს იმყოფებოდა, თვითმფრინავით მოსკოვს ჩავიდა მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის დიდი მომღერალი ნაზიმ ჰიქმეთი. მას ვნუკოვოს (მოსკოვი) აეროდრომზე შეხვდნენ საბჭოთა პოეტები, მოსკოვის მშრომელები, ინტელიგენცია.

დაუვიწყარი იყო შეხვედრის ეს წუთები. ნაზიმ ჰიქმეთს გულთბილი, ამაღელვებელი სიტყვებით მიმართეს გამოჩენილმა საბჭოთა პოეტებმა ნიკოლოზ ტიხონოვმა და კონსტანტინე სიმონოვმა.

შემდეგ შეკრებილთ სიტყვით მიმართა ყველა საბჭოთა მოქალაქისათვის ძვირფასმა და საყვარელმა ნაზიმ ჰიქმეთმა:

„მე იმდენად ბედნიერი ვარ, რომ არ ძალმიძს ლაპარაკი, თუმცა ბევრის თქმა შემეძლო. ჩემს სიცოცხლეს, თავისუფლებას, ყოველივე მშვენიერის, მშვიდობის სიყვარულს უნდა ვუმადლოდე დიად ქალაქს მოსკოვს. მე საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ შვილად ვთვლი ჩემს თავს.

ჩემი ხალხი, თურქი ხალხი, გმინავს ამერიკელი იმპერიალისტების უღელქვეშ. ჩემი ხალხის შვილებს — მუშებისა და გლეხების შვილებს — ამერიკული ფორმის ტანსაცმელს აცმევენ და მკვლელებად გზავნიან კორეაში. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ სხვა ხალხების მსგავსად თურქი ხალხიც დიდი სტალინის დროშით განაგრძობს ბრძოლას მუდმივი მშვიდობისათვის, თავისი ქვეყნის განთავისუფლებისათვის.

მშვენიერ, გულითად შეხვედრას, რომელიც თქვენ გამიმართეთ, მე, უწინარეს ყოვლისა, ვაკუთვნებ ჩემს ხალხს. ჩემი სახით თქვენ მიესალმეთ გაუბედურებულ თურქ ხალხს, რომელიც, მიუხედავად ყველაფრისა, აღსავსეა ბრძოლის სურვილით. მადლობას მოგახსენებთ მისი სახელით.

მე ცხრამეტი წლისა ვიყავი, როცა პირველად ჩამოვედი საბჭოთა კავშირში, მე ვსწავლობდი უნივერსიტეტში, რომელიც სტალინის სახელს ატარებს, ვისმენდი სტალინის ლექციებს. ჩემთვის სტალინი უდიდესი ადამიანია მთელ მსოფლიოში, ადამიანი, რომელმაც ბევრი რამ მასწავლა“.

ლ. ვარდოსანიძე

ჩ ა ი

ფერდობებზე შეფენილა
ჩაის მწვანე ბუჩქები,
ჩამწკრივებულ-დარაზმული,
კოხტა, თმახუჭუჭები!

რარიგ შვენის გაშლილ ფართობს
კვლების სწორი ზოლები,
ბუჩქებს გვერდში მოსდგომია
ბუჩქი ზედმიყოლებით!

დგას ბუჩქები სულ ერთთავად
კოხტად შეკრეჭილები,
ღეროებზე ყლორტები აქვს
ხშირად ამოყრილები;

და ფოთლები ნორჩი, მწვანე,
ყლორტებს მუდამ ეზრდება;
თავქოჩორა ამ ბუჩქების
კრეფა ვის მობეზრდება?!

ჩაის მკრეფავ ქართველ ქალებს
აბა სად არ აქებენ?!
თვალს ვერ მოჰკრავ, ისე სწრაფად
უთვალავ ბუჩქს გაკრეფენ!

გაკრეფენ და, ხედავ, ისევ
უცბად აბიბინდება.
კრეფა, ბარვა და სასუქი
ჩაის არ მოსწყინდება;

ამიტომაც მკრეფავები
კრეფას ვერ მოსცდებიან,
ირიჟრაჟებს თუ არა და
ნაკვეთს მოედებიან;

განიერი ჭილის ქუდით
ხან აქ, ხან იქ ჩნდებიან,
გეგმას მუდამ აჭარბებენ,
ნორმას არ სჯერდებიან!

და მოკრეფილ ჩაის ფოთლებს
მიაქროლებს მანქანა;
სურნელოვან ჩაის გვაწვდის
ჩვენი ჩაის ქარხანა.

ჩვენი ჩაის ქებაშია
ყველა მისი მნახველი!
საქართველოს ჩაიმ უკვე
შორს გაითქვა სახელი!

ილია სიხარულიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. არგიუხოვი **მ ო თ ხ რ ო ბ ა** მხატვარი ვ. ბელეცკაია

ბორიამ გვიან გაიღვიძა, როცა თვალები გაახილა, დედა უკვე ქურქს იცვამდა.

— ჩაიდანი ჯერ კიდევ თბილია, — უთხრა დედამ, — ხოლო საუზმე კი...

— დედა, მოიცა ცოტა ხანს.

— რა იყო? — უთხრა დედამ.

ბორიამ სწრაფად ჩაიცვა, კალენდარს ფურცელი მოხია, ბალიშის ქვეშ მოთავსებული პატარა ხვეული გამოიღო, წელში გაიმართა, საზეიმო გამომეტყველება ძიიღო და დედას მიმართა:

— დედა! გილოცავ ქალთა საერთაშორისო დღეს! ეს საჩუქარი კი შვილისაგან დედას.

— გმადლობ, შვილო, — უთხრა დედამ.— რა მშვენიერი უბის წიგნაკია! ნუთუ შენ გააკეთე?

დედამ გადაკოცნა იგი და წასვლა დააპირა. უკვე კარებთან იყო მისული, რომ შემობრუნდა, თვალი მოავლო ოთახს, მაგიდაზე გადაფარებულ მოქარგულ სუფრას და ალერსიანი ხმით წარმოთქვა:

— ბორია, იყავი უფრო წესიერად... შეიძლება საღამოს ბებიამ შემოიაროს... სკოლაში წასვლის წინ ჭამე ვინეგრეტი, შინ დაბრუნებისას კი სადილიც მოგისწრებს. მე დღეს ადრე დავბრუნდები. აი, ეს სამწუხაროა, რომ გუშინ იატაკის მორეცხვა ვერ მოვასწარი.

— რა ვუყოთ, ძალიან კარგია!—თქვა ბორიამ.

— რა არის ამაში კარგი? — გაიკვირვა დედამ.

— ძალიან კარგია ის, რომ შენ ადრე დაბრუნდები!

როდესაც დედა გავიდა და კარები მიიხურა, ბორიამ მხიარულად შესძახა:

— აა! ვერ მოასწრო მორეცხვა! მით უკეთესი! — და გაიქცა სამზარეულოში.

აი... მაგიდაზე გუშინდელი ვახშმის შემდეგ დარჩენილი ტილოგადაფარებული ორი თეფში და ორი ფინჯანი ელაგა (დედა ქარხანაში კრების შემდეგ კონცერტს დაესწრო და გვიან დაბრუნდა), ფაფის ქვაბი გაუწმენდავი იყო, ხოლო გამოსალბობად წყლით გაევსოთ. ბედმა გაუღიმა! გავლისას ბორიამ ჩაიხედა კალათაში, რომელიც დედას კარტოფილისა და ბოსტნეულისათვის დაჰქონდა. კალათა თითქმის ცარიელი აღმოჩნდა.

— ვაშა! — წამოიძახა ბორიამ.

მან სწრაფად დალია ჩაი და თავდასხმითი ოპერაციების მომფიქრებელი სარდალივით დადგა შუა ოთახში: გვერდიდან დავარტყა თუ პირდაპირ გადავიდე შეტევაზე ცენტრალურ პოზიციებზე?

— არაფერია, — გადაწყვიტა მან, — დავიწყოთ უძნელესიდან!

მან სახელოები აიკაპიწა და ჩაიდანში დარჩენილი ცხელი წყალი ვედროში ჩაასხა.

იატაკის მორეცხვის შემთხვევა ბორიას არასოდეს არ ჰქონია, მაგრამ მან კარგად იცოდა, რა იყო ამისთვის საჭირო. მთავარია — არ დაზოგო წყალი, ჩვარი აქეთ-იქეთ უსვა, ძნელ შემთხვევებში დანით ფხიკო იატაკი და ოთახში მოთავსებული საგნები გადაალაგო.

ბორია ხან წახრილი ქშენდა, ხან ჩაცუცქდებოდა, გადააჩოჩა თავისი საწოლი, თავი შეჰყო და შეფორთხდა თავის დედის მძიმე საწოლის ქვეშ. მან ვერ მოახერხა კამოდისა და მამის საწერი მაგიდის ადგილიდან დაძვრა, მაგრამ დედას ხომ ხშირად გადააქვს ისინი ადგილიდან ადგილზე!

დასასრულ მიაღწია კარებამდე. ბორიამ ასწია თავი და საათს დახედა—სრულიად მო-

ულოდნელად საათის დიდი ისარი ნახევარწრეს გადაცდენოდა.

„ეჰე,—გაიფიქრა მან,—უნდა ავჩქარდე!“

სამზარეულოში საქმე უფრო სწრაფად წარიმართა, რადგან გადასალაგებელი ნივთები უფრო ცოტა იყო. როდესაც სამზარეულო შუამდე მორეცხა, ბორიამ დაღლილობა იგრძნო. უცებ თავი წარმოიდგინა გემზე მოსამსახურე ბიჭად, რომელიც სამანძიანი გემის ბაქანს ასუფთავებს ძველი ბოცმანის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ.

აი, თითქოს მორჩა ბაქანს, ჩავიდა გემის სამზარეულოში, ჩავიდა და გარდაიქმნა გემის მზარეულად... ბოლოს საინებიც დარეცხა და ქვაბებიც ვერცხლისფრად გააპრიალა.

ბორიამ რამდენჯერმე შეირბინა ოთახში და დახედა საათს. მას ეჩვენებოდა, თითქოს უხილავი ხელი საათის ისარს სწრაფად ამოძრავებდა—ათიდან ისარი ერთბაშად გაჩნდა თერთმეტის ნახევარზე და შემდეგ კი უცებ თორმეტს თხუთმეტი წუთი აკლდა.

ბორიამ მაგიდის უჯრა გამოსწია, რომელშიც საოჯახო ხარჯებისათვის განკუთვნილი ფული იყო. ტუჩების მოძრაობითა და თითების მოკეცვით გამოიანგარიშა რაღაცა. წუთიც—და ხელში კალათით იგი კიბეზე ჩამორბოდა.

დახლთან მისვლისას ბორიამ ჩაახველა, ყელი გაიწმინდა და რაც შეიძლებოდა მოზრდილის ხმით წარმოთქვა:

—გეთაყვა, მომეცით ნახევარი კილო საუკეთესო ხორცი... თქვენი სინდისის ქვეშ!

ბებია მუდამ ასე მიმართავდა ხოლმე ხორცის გამყიდველს.

სამზარეულოში საქმე უფრო სწრაფად წარიმართა.

სქელმა გამყიდველმა თავიდან ბოლომდე ჩაათვალიერა ბორია, შემდეგ შემფასებელი მზერა ყაფაზაზე დალაგებულ საქონლის ხორცზე გადაიტანა. ბოლოს ხვნეშით მოკვეთა ხორცის დიდი ნაჭერი და უთხრა ბორიას:

— მიიღეთ, ყმაწვილო, კმაყოფილი დარჩებით!

ბორიამ სამწვანილე განყოფილებაში შეირბინა, შემდეგ ფურნეში. შინ დაბრუნებისას კი, შეხედა საათს თუ არა, ამოიხვნეშა.

ვერც ერთი გემის მზარეული ვერ გაწმენდდა მასავით სწრაფად და გულმოდგინედ კარტოფილს. ბოლოს კარდალი კარტოფილით გაავსო და პირამდის წყალი ჩაასხა, ხორცი და მწვანილი გარეცხა და სინზე ლამაზად დაალაგა.

გვერდით სამზარეულო მაგიდაზე დადო წერილი:

— დედა, ჩემი სურპრიზია!*

ასეთივე შინაარსის წერილები, უფრო მსხვილი ასოებით დაწერილი, დადო იატაკზე, სამზარეულოშიც და ოთახშიც. კამოდზე კი, ყველაზე თვალსაჩინო ადგილას, დატოვა კიდევ ერთი წერილი:

„დედა მე წითელი ყუთიდან ამოვიღე 20 მანეთი და 40 კაპიკი... ესეც აგრეთვე სურპრიზია, მას სამზარეულოში ნახავ!

ბორიამ ძლიერი შიშინი იგრძნო. სწრაფად უნდა ეჭამა ვინეგრეტი და გაქცეულიყო სკოლაში. უკანასკნელ წუთს ოხკანის ქვეშ საინი მორეცხა. უცებ ბორია მწარედ დაფიქრდა:

„ვაიმე, დედა, გაკვეთილები?!!“

• • •

როცა გაკვეთილები არ იცი, რა სჯობს: იჯდე თვალებდახრილი, წყნარი და მშვიდი სახის გამომეტყველებით, თუ, პირიქით, მხნედ და გაბედულად უცქეროდე პირდაპირ ანტონინა ნიკოლაევნას: „თუ გნებავთ მკითხეთ, მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგოო?“

თუმცა არის კიდევ მესამე საშუალება... მაგრამ ეს უნდა ქნა ერთბაშად, გაკვეთილის დაწყების წინ: ადგე და მთელი გულახდილობით თქვა: „ანტონინა ნიკოლაევნა, მე დღეს გაკვეთილები არ ვიცი, გთხოვთ არ მკითხოთ!“

მაგრამ ასე ხომ მაშინ ამბობენ ხოლმე, როდესაც ვინმე ავად გაუხდებათ, ან რაიმე სხვა საპატიო მიზეზია...

კლასში კი ყველა ისე საზეიმოდ გამოიყურება, ისე კარგი სუნი ასდის ქილაში მოთავსებულ მიმოზას მასწავლებლის მაგიდაზე! თვითონ ანტონინა ნიკოლაევნაც კი დღეს რა-

* სურპრიზი — მოულოდნელი სიამოვნება; მოულოდნელი საჩუქარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღაც სხვანაირია, განსაკუთრებულად გახარებულია და თითქოს გაახალგაზოდავებულა კიდეც... ეგებ არც მკითხოს დღეს გაკვეთილი...

აი, მან გადაშალა კლასის ჟურნალი.

ალბათ არც მკითხავს — ხომ მკითხა ამის წინ არითმეტიკასა და რუსულში, დაფასთან გამიძახა... იგი ისეთებს ჰკითხავს, რომელთა ცოდნაში არ არის დარწმუნებული, ვისაც ძეოთხედის ბოლოს ცუდი ნიშნების გამოსწორება ესაჭიროება...

რა თქმა უნდა, არ მკითხავს! ჩუმად ვიყო სჯობია!

ბორიამ პირველად ასეთ საშუალებას მიმართა — დახარა თვალები. შემდეგ — მეორე საშუალებას — ძეხედა პირდაპირ ანტონინა ნიკოლაევნას და უეცრად მესამე საშუალებას — წამოდგა და წამოიძახა:

— ანტონინა ნიკოლაევნა, გთხოვთ მაპატიოთ, მე დღეისათვის გაკვეთილები არ დამისწავლია. სხვა დროს გაძომკითხეთ!

კლასში დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა.

ანტონინა ნიკოლაევნამ გაკვირვებით ჰკითხა:

— სრულებით არ გისწავლია?

— სრულებით არ ძისწავლია.

— ეს როგორ მოხდა?

— მე, ანტონინა ნიკოლაევნა... სურპრიზი მინდოდა დაძემზადებინა!

ანტონინა ნიკოლაევნამ ჩაიცინა.

— გმადლობთ ასეთი სურპრიზისათვის. მე შეხვან აძას ნამდვილად არ მოველოდი.

ბავშვებმა თავშეკავებულად ჩაიცინეს.

— თქვენთვის კი არ მინდოდა სურპრიზი, — უპასუხა ბორიამ, რომელიც სულ უფრო და უფრო წითლდებოდა.—დედას მივართვი სურპრიზი! აი... საჩუქარი ქალთა დღისათვის.

კვლავ მთელმა კლასმა გაიცინა.

— მოიცა, მოიცა!—ღიმილით თქვა ანტონინა ნიკოლაევნამ, — მე ეგ რაღაც არ მესმის: ეს რა საჩუქარია, რომ გაკვეთილები არ დაისწავლო?

ბორიაძ მგზნებარედ უპასუხა:

— მე გაკვეთილებზე კი არ მოგახსენებთ! მთელი წლის განმავლობაში ყველაფერს დედა მიკეთებს. დღეს კი მე მინდოდა მისთვის ყველაფერი გაძეკეთებინა, რომ სამუშაოდან შინდაბრუნებულს ყველაფერი მზად დახვედროდა.

და მან უამბო მასწავლებელს თავისი საოჯახო საქმიანობის შესახებ.

ახლა კი ბავშვები ბორიას პატივისცემით უცქერდნენ და ანტონინა ნიკოლაევნას კი ცნობისმოყვარეობით: როგორ მოიქცევა ის?

— იატაკიც მორეცხე? — უნდობლად შეეკითხა ანდრიუშა, რომელიც ბორიას გვერდით იჯდა მერხზე.

— ანტონინა ნიკოლაევნა, გთხოვთ მაპატიოთ, მე დღეისათვის გაკვეთილები არ დამისწავლია.

— იატაკიც! — ამაყად მიუგო ბორიამ.

— ყოჩაღ! — თქვა ანტონინა ნიკოლაევნამ, — ეს ძალიან კარგია, რომ შენ მოინდომე დედას მოხმარებოდი, მაგრამ გაკვეთილების საქმე როგორ მოხდა? გუშინ უნდა გესწავლა.

— მეც გუშინ საღამოს ვაპირებდი, — დარცხვენით უპასუხა ბორიამ, — მაგრამ სასეირნოდ წავედი, მეგონა, რომ დღეს დილით ყველაფერს მოვასწრებდი... მე არ მეგონა, თუ ასე დიდხანს მოვუნდებოდი დედის საქმეებს!..

— დიახ, — თქვა ანტონინა ნიკოლაევნამ, — დედის საქმეები ძნელია. მით უმეტეს შეუჩვეველი კაცისათვის!

მასწავლებელმა თავისკენ მისწია ჟურნალი და ბორიას გვარის პირდაპირ დიდი შავი წერტილი დასვა. წერტილისაგან შეიძლება გამოვიდეს ცუდიც და კარგიც. წერტილი — ეს იმას ნიშნავს, რომ ძლიერ მკაცრად გამოგკითხავენ, და არა მარტო მოცემულ გაკვეთილს, არამედ ბევრად მეტსაც. წერტილი ნიშნავს: გახსოვდეს და ძლიერ ეცადეო!

— ანტონინა ნიკოლაევნა, მე ყველაფერს დავისწავლი, როდესაც გნებავდეთ მკითხეთ! — აღელვებულად უთხრა ბორიამ.

— ეჭვიც არ მეპარება ამაში, — მშვიდად უპასუხა ანტონინა ნიკოლაევნამ.

— ახლა, ბავშვებო, მითხარით, როგორ ეხმარებით თქვენ დედებს?

— ქალთა საერთაშორისო დღეს? — ჰკითხა ანდრიუშამ.

— და ვინ იცის, ქალთა საერთაშორისო დღის გარდა რამდენი დღეა კიდევ წელიწადში?

* * *

საღამოს ბორია იჯდა სავარძელში საწერ მაგიდასთან და ოხვრით ფურცლავდა კალენდარს. დიახ, როგორც არ უნდა იანგარიშო, მხოლოდ ახალწლამდე 298 დღეა. ახალწლის შემდეგ კიდევ 66.

დედა ოთახიდან გამოვიდა მამის მიერ მოტანილი ვაშლის გასარეცხად. მამა ხმამაღლა აქებდა სადილს, ბებია მას თანდათან უმატებდა საინზე საჭმელს, იგი კი გაღიმებული, მოწონებითა და თანაგრძნობით მისჩერებოდა ბორიას.

დედამ, რასაკვირველია, იცოდა, თუ რას ნიშნავდა წერტილი, მამა და ბებია კი ამაში ნაკლებ ერკვეოდნენ.

— გესმის, მამა, ეს იმას ნიშნავს, რომ მუდამ გახსოვდეს და ძლიერ ცდილობდე!

ბორიამ ისევ ამოიოხრა და კალენდარი გადაფურცლა.

— იცი, ბებია, — თქვა მან, შემდეგი რვა მარტისათვის მე წინასწარ შევუდგები დედისათვის საჩუქრის დამზადებას. ასე მოვიქცევი: ყოველდღიურად ჩავიწერ რამეს... ამ კალენდარზე. ასე, მაგალითად, ხვალისათვის კარტოფილის გაფცქვნას, ზეგისათვის ოთახის დაგვას...

— ეგრე სჯობია, — თქვა მამამ, — გრაფიკის მიხედვით, უიერიშოდ.

ბებიამ ჰკითხა:

— ღირს კი ჩაწერა? ეგებ პირდაპირ ჰკითხო დედას, რის გაკეთებაა საჭირო?

— ყოველდღე? — ბორიამ სქელ კალენდარს გადახედა. — ყველა სამას სამოცდახუთი დღის განმავლობაში?

— გაისად სამას სამოცდაექვსი დღე იქნება, ნაკიანი წელიწადია — დასძინა მამამ.

—ოჰო!—ბორია ჩაფიქრდა.—რა გაეწყობა, ვსინჯავ!.. კარგი, არ ჩავიწერ, ისე, ჩემთვის კალენდრის ყოველ ფურცელზე წერტილს დავსვამ.

თარგმანი **ფ. ნიშნიანიძისა**

ეს სოფელი ცნობილია ლამაზი ტყით, ტყე—ნადირით,
აქ ფიჭვნარი მთებს დიდ მხრებზე მოუხურავთ ნაბადივით.

ვხედავ ყუბანს ახლად შობილს, შორით რომ ჩანს ნაკადულად,
ზოგან მისი ბროლის ტანი ფიჭვნარებში დაკარგულა.

ვხედავ, აუჭრელებიათ მთის კალთები ხეებს ჩრდილით,
იალბუზის ზურგი მოჩანს დიდ სასახლის კედელივით.

დაბლა ლურჯად რომ ბიბინებს, ეს სვანების ყანებია,
წარსულ დროში ამ მხარეში პურს არ უღალანებია.

დღეს აქ სვანთა კოლექტივი, ვხედავ, ყვავის ათასფერად,
გული ისე გახალისდა, რომ მზად არის გასაფრენად.

აქ ყუბანი ენგურივით სულ პირველად სვანებს ხვდება,
მათი შრომით ეს მიდამო კიდევ უფრო დამშვენდება.

ბორის მეგრეველი

---

* ზედვაკე სოფელია ქლუხორის რაიონში, მდინარე ყუბანის სათავეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ცხოვრება მკვიდრდება თავისუფალ ჩინეთში. ქალაქებსა და სოფლებში, ფაბრიკა-ქარხნებსა და მინდვრებში შრომისმოყვარე ჩინელი ხალხის შრომა დღითი დღე უფრო ნაყოფიერი ხდება, რაც ზრდის სახელმწიფოს ძლიერებასა და მშრომელთა კეთილდღეობას. შრომაში ჩინელ ხალხს მხნეობას მატებს საბჭოთა ხალხის მიერ ძმურად გაწვდილი ხელი.

აი მდინარე იანცი. მდინარის ტალღებს მოაპობს ავტომანქანებით დატვირთული ხომალდების ქარავანი. ეს ავტომანქანები ქალაქ გორკის მოლოტოვის სახელობის საავტომობილო ქარხანაშია დამზადებული. ვოლგისპირეთის ინდუსტრიული გიგანტის მუშები ეხმარებიან ჩინელ თანამოძმეებს, რათა მათ აშენონ ახალი ცხოვრება იანცზის ნაპირებზე.

იანცზი თითქმის მთელ ჩინეთზე მიედინება. მისი სიგრძე 5.200 კილომეტრს უდრის, განი კი ალაგ-ალაგ 50 კილომეტრს აღწევს. მდინარის ირგვლივ გაშლილია ნოყიერნიადაგიანი სინჩუანის პროვინცია, დედამიწაზე ყველაზე მჭიდროდ დასახლებული რაიონი. მისი მოსახლეობა 50 მილიონს აღემატება.

ადამიანზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ჩინეთის უძველესი ქალაქების „ხნოვანება", ნაციონალური ხუროთმოძღვრების ძეგლები. ქალაქ ნანკინს ორი ათასი წელიწადი შეუსრულდა. XII საუკუნეშია აშენებული ძველი ჩინეთის არქიტექტურის საკვირველება — მხედართმთავრის იუზ-ფეიას მავზოლეუმი. საყვარელ მხედარმთავარს მავზოლეუმი აუგო ხალხმა იმ ბრძოლებისათვის, რომლებსაც დიდი პატრიოტი იუზ-ფეია აწარმოებდა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის. ამ საყვარელი მხედართმთავრის საბრძოლო მოწოდება „დაგვიბრუნეთ ჩვენი მთები და მინდვრები!" დარჩა როგორც მემკვიდრეობითი ლოზუნგი შემდეგი თაობებისათვის. ეს ლოზუნგი აღაფრთოვანებდა სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლებში.

ახალ არქიტექტურულ ძეგლთა შორის საყურადღებოა ჩინეთის 1911 წლის რევოლუციის ბელადის სუნ იატ-სენის მავზოლეუმი. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში სუნ იატ-სენი მიისწრაფოდა იქითკენ, რომ ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დამყარებულიყო მეგობრობა.



ვალს იტაცებს ბრინჯის მინდვრები, ჩაის პლანტაციები. მიწის ყოველი მტკაველი გულმოდგინედ არის დამუშავებული. ბევრგან კლდოვანი მთებიც არის დანგრეული და გაკეთებულია ხელოვნური ტერასები ბრინჯის აღმოსაცენებლად. ასევე ბევრგან ჩაის პლანტაციებიც ხელოვნურ კლდოვან ტერასებზეა გაშენებული.

ბრინჯსა და ჩაის ბუჩქებთან ერთად ჩინეთის სოფლის მეურნეობაში ფართოდ არის გავრცელებული ბამბა. ბამბის მოსავლიანობის სიუხვით ჩინეთს მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია. ჩინეთში ფართოდ არის გავრცელებული ბამბუკი. ბამბუკისაგან ჩინელები აკეთებენ კალათებს, ჭუდებს, ავეჯს, აშენებენ სახლებს, ხოლო ტანმსხვილ ბამბუკებს ბევრგან სოფლებში წყალსადენ მილებად იყენებენ.

თავისუფალი ქვეყნის ახალმა ცხოვრებამ ცხოველმყოფელი შუქი მოჰფინა ჩინეთის სოფლებს. ბევრ რაიონში განხორციელებულია აგრარული რეფორმა, ესე იგი მიწა გადაეცა მათ, ვინც მიწას ამუშავებს. იქ, სადაც ჯერ კიდევ არ არის რეფორმა გატარებული, სადაც მიწა კვლავ მემამულეების ხელშია, საგრძნობლად შემცირებულია მიწის სარენტო გადასახადი; გაუქმებულია ყველა ვალი, რომელიც გლეხებს ჰქონდათ აღებული მემამულეებისაგან; ჩამოყალიბებულია გლეხთა კავშირები. ამ კავშირების მეოხებით მიწათმოქმედნი სახელმწიფოსაგან დებულობენ თესლს. ამერიკის სადესანტო ხომალდები, რომლებიც ახლო წარსულში გომინდანელების ხელში იყო, ახლა გამოყენებულია ბრინჯის, ბამბის, ხორბლის, ქერის გადასაზიდად.

შეიქმნა თევზჭერის მეურნეობა. მეთევზეები ხომალდების ასაგებად ღებულობენ სესხს და არ უხდებათ ხომალდების დაქირავება, მემამულეებისათვის დაჭერილი თევზის დიდი ნაწილის მიცემა.

წრაფი ტემპით ვითარდება თავისუფალი ჩინეთის წარმოება. ხანკოუში, შანხაიში და მთელ ჩინეთში ბევრ საწარმოს ფლობდნენ ინგლისელი, ფრანგი, იაპონელი, ამერიკელი კაპიტალისტები. ახლა არც ერთი უცხოელი მესაკუთრე არ არის ჩინეთში. ქვეყანას პატრონობს ჩინელი ხალხი. გომინდანელებზე გამარჯვების შემდეგ ინდუსტრიული გიგანტები სახელმწიფოს საკუთრებად გადაიქცა.

მუშები მეტი გულმოდგინებით მუშაობენ, შრომის ნაყოფიერებაც დღითი დღე იზრდება. ყველგან ფაბრიკა-ქარხნების ეზოებში, თვალსაჩინო ადგილზე, გაკრულია კედლის გაზეთები. მუშები ინტერესით ჩერდებიან მათ წინ და ეცნობიან წარმოების ახალ ამბებს, ცვლებისა და მოწინავე ბრიგადების შეჯიბრებათა შედეგებს.

ინეთის სახალხო ხელისუფლება დიდ მზრუნველობას უწევს ბავშვებსა და ქალებს. გახსნილია კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღები, საბავშვო ბაგები, სადაც მშრომელი დედები ტოვებენ ბავშვებს სამუშაო დღის დასრულებამდე.

აი ქალაქი შანხაი. ხმაურიან ქუჩებში ჯგუფ-ჯგუფად დადიან ხალისიანი მოსწავლეები და სტუდენტები. მუშების შვილებისათვის პირველად გაიღო დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სკოლების კარები. შანხაის 43 უმაღლესი სასწავლო დაწესებულება ამზადებს ექიმებს, ინჟინრებს, პედაგოგებს...

შანხაის უზარმაზარ იპოდრომზე, სადაც ცოტა ხნის წინათ, ,,გომინდანელების ბატონობის დროს, არისტოკრატია ცხენების ჯირითით ერთობოდა და უბრალო ადამიანებისათვის შესვლა აკრძალული იყო, ახლა, პირველად შანხაის ისტორიაში, მოწყობილია სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. შრომის გმირმა, ყოფილმა მოჯამაგირემ ლიუ იაუ-ჩუენმა, თავისი შრომითი გამოცდილებით მიიღო ბამბის უხვი მოსავალი. ახალგაზრდა კომუნისტი აგრონომები გამოფენის დამთვალიერებლებს აცნობენ ბუნების დიდი გარდამქმნელის მიჩურინის მეცნიერებას, ლისენკოს მეთოდებს.

ბევრი ახალი რამ ხდება მშრომელთა ცხოვრებაში. ბავშვებსა და ახალგაზრდობას გადაეცათ ფეოდალებისა და კაპიტალისტების მდიდრულად მოწყობილი ვილები სი-ხუს ტბის ნაპირებზე. ჩინელ ხალხს ამ ტბის სილამაზის შესახებ მხოლოდ ყური ჰქონდა მოკრული. აქ დასვენება და ტბის მიდამოების სილამაზით დატკბობა ხალხისთვის ხომ შეუძლებელი იყო. ახლა აქ მოწყობილია სახელმწიფო პარკი, გახსნილია საბავშვო ბაღები, მუშა და გლეხი ახალგაზრდობისათვის მოწყობილია აგარაკები.

მშრომელთა კეთილდღეობას ემსახურება სუნ იატ-სენის სახელობის პარკი. აქ მშრომელებს შეუძლიათ გაატარონ დასასვენებელი დღეები, ნახონ მხატვრული თვითმოქმედი წრეების გამოსვლები.

აგერ ესტრადაზე გამოდის ერთ-ერთი საბავშვო ბაღის ხმაურა ორკესტრი. პაწაწინა მემუსიკენი საინტერესოდ უკრავენ. პატარა დირიჟორი არაჩვეულებრივი სერიოზულობით არხევს ჯოხს და მუსიკალური ნომრის დასრულების შემდეგ სერიოზულად უკრავს თავს აღტაცებულ საზოგადოებას.

ახალხო ზეიმებზე დემონსტრანტებს მაო ძე-დუნის პორტრეტების გვერდით მოაქვთ პორტრეტები ვ. ლენინისა და ი. სტალინისა. წიგნების მაღაზიებსა და კიოსკებში გამოფენილია საბჭოთა მწერლების წიგნები, თარგმნილი ჩინურ ენაზე.

ჩინელი ბავშვები სკოლის პირველ წლებშივე ეცნობიან მშობლიური ქვეყნის დიდი მწერლების სახელებთან ერთად პუშკინს. შანხაიში აღმართულია პუშკინის ძეგლი. მის გარშემო ხშირად იყრიან თავს მოსწავლეები. მასწავლებლები მათ უხსნიან, თუ როგორ გადმოლახა უსაზღვრო სივრცე, მთები და მდინარეები და მოვიდა ჩინეთში რუსი გენიოსის მომჯადოებელი, ხალხთა თავისუფლებისა და მეგობრობისაკენ მომწოდებელი შემოქმედება.

ხალხთა თავისუფლებისა და მეგობრობისაკენ მომწოდებელი შემოქმედება უყვარს ჩინელ ხალხს, რადგან თავისი ბრძოლითა და შრომით მაღლა უჭირავს მას თავისუფლების, ხალხთა მეგობრობისა და მშვიდობის დროშა.

მ. შალიკაშვილი



★

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ბევრ საწარმოსთან მოწყობილია საბავშვო ბაგა. დედებს შეუძლიათ მშვიდად იმუშაონ დაზგაზე, რადგან იციან, რომ მათ ბავშვებს კარგად მოუვლიან.

სურათზე: ძიძა უვლის ბავშვებს ხანკოუს ბამბისსართავი ფაბრიკის საბავშვო ბაგაში.

ფოტო **ევა სიაოლი**
(საკდესის ფოტოქრონიკა)

★

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღაპარი გულად ჭაბუკზე და მშვენიერ ასულ ცენ-ზუნეზე

კორეული ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი თამამი და გამრჯე ბიჭი. მას ადრე დაეხოცა დედ-მამა და ერთმა მდიდარმა წაიყვანა თავისთან სამუშაოდ.

ერთხელ ბიჭი შეშაზე გაგზავნეს. შეაგროვა მან ორი გუდურა შეშა და წამოვიდა შინისკენ. გზა მიდიოდა გორაკებზე, ძნელად სავლელი გზა. დაიღალა ბიჭი, ზურგზე შეშამოკიდებული დაჯდა და მიეძინა.

ძილში შემოესმა, რომ ვიღაცა აღვიძებს. გაახილა თვალები და დაინახა მოხუცი გრძნეული.

—შენ, ეი, ყმაწვილო, რას დახეტიალებ ჩემს სამფლობელოში? მაგ საქციელისათვის შენ რა გეკუთვნის — სიკვდილი თუ სიცოცხლე? —შეეკითხა მოხუცი.

— მე სიცოცხლე, ჯერ ახალგაზრდა ვარ და ყველაფერი უკეთესი წინ მაქვს, შენ კი, ბებერო, — სიკვდილი! — უპასუხა ბიჭმა.

გაეცინა მოხუცს.

— მე ვერაფერი მაშინებს, შენი პასუხი კი მომეწონა. უცნაურია ეს ღარიბი ხალხი: რაც უფრო გაჭირვებული არიან, მით უფრო ახარებთ სიცოცხლე, არ გვანან მდიდრებს, რომელნიც სულ წუწუნებენ.

— სწორედ რომ ასეთი არიან მდიდრები, — ასწია მხრები ბიჭმა. — მათ ეშინიათ შრომის, ჩვენ კი შრომას მიჩვეული ვართ და გვინდა ცხოვრება უკეთესი გავხადოთ.

მოხუცს გულში მოეწონა ბიჭის სითამამე და შეეკითხა მას:

— რა გსურს საჩუქრად შენი ჭკუისათვის? ძალა დევგმირისა, თუ იმდენი ოქრო, რამდენიც შენი ფიჩხია?

— შენ თუ არ ხუმრობ, მაშინ მომეცი მხოლოდ ძალა, და ისეთი, რომ შეშა მეჩვენებოდეს ბატის ბუმბულად, დანარჩენზე ნუ შეწუხდები, — თვითონ მოვიპოვებ ცხოვრებისათვის ყველაფერს.

—კარგი, — უპასუხა მოხუცმა,—აიღე შეშა, წადი და უკან არ მოიხედო.

აიღო ბიჭმა შეშა, მოხუცი კი გაქრა. შეშა მეტად გამსუბუქდა, თითქოს ბუმბული ყოფილიყო.

მიდის ბიჭი თავის სოფლისკენ, მიადგა ღრმასა და ჩქარ მდინარე სიუ-რის. მდინარე იკლაკნებოდა ხეობაში, სადაფის მსგავსად ბრწინავდა. ბიჭი შედგა ტატუნგანის ხიდზე, ყველაზე მაღალ და დიდ ხიდზე ამ მხარეში. ხიდზე იდგა ლამაზი ქალი, თეთრ, თოვლის მსგავს თხელ კაბაში გამოწყობილი, წვრილი თითებით ნაწნავებს იშლიდა და ლოყებზე ცრემლები ჩამოსდიოდა.

— რა გქვია? — შეეკითხა ბიჭი.

— ცენ-ზუნე.

— რა გატირებს?

— ძველი ჩვევის თანახმად, მოხუცებმა გადაწყვიტეს ცოლად მიმცენ ვეფხვს, მე კი არ მინდა. უკეთესია წყალში გადავვარდე!— და უფრო მეტად ატირდა.

ბიჭმა უთხრა:

— ნუ დაიხრჩობ თავს, მე გამომყევი.

ქალიშვილი გაჰყვა მას.

მივიდნენ სოფელში. მოხუცები ძალიან უკმაყოფილონი იყვნენ ცენ-ზუნეს მოქმედებით.

— რატომ დაბრუნდი? ნუთუ არა გაქვს იმდენი გამბედაობა, რომ მოკვდე მარტო, ვიდრე დაგვღუპო ყველა?! მხდალო! ჩვენი

სოფლის ყველა ლამაზი ქალი ათასი წელია მიჰყვება ვეფხვს ცოლად. ასეთია კანონი.

წამოიწია ბიჭმა და უთხრა მათ:

— ჩვენ ყოველწლიურად ვაძლევთ ვეფხვს ყველაზე ლამაზ ქალიშვილებს. რატომ? ცენ-ზუნეს სიცოცხლე უნდა. ვეფხვის ხახაში სიკვდილი! რა შეიძლება იყოს ამაზე ლაჩრული!

— საზოგადოებისათვის, ყველას კეთილდღეობისათვის სიკვდილი საპატიოა, — ამბობდნენ მოხუცები.

—მაშ, ავიღოთ ისარი, ხმალი და საერთო კეთილდღეობისათვის მოვკლათ ვეფხვი. მაშინ ჩვენი ლამაზი ქალები ცოცხლები დარჩებიან და ცხოვრება კი ბედნიერი გახდება. თუ ვინმე ვეფხვთან ბრძოლაში დაიღუპება, ეს სიკვდილი საპატიო იქნება.

მოხუცები მოიღუშნენ, დაიწყეს თავიანთი თხელი წვერების ქექა, ცანცარი, დადუმდნენ, ახალგაზრდა მონადირეები კი აჩოჩქოლდნენ.

შეხედა მათ ბიჭმა და თქვა:

— მე პირველი წავალ!

—შენ ჯერ ახალგაზრდა, თხუთმეტი წლისა ხარ.

— მართალია, თხუთმეტი წლისა ვარ, მაგრამ მეტად მძიმე თხუთმეტი წლის: მე გამოწრთობილი ვარ, ცხოვრებამ ბევრი რამ მასწავლა.

მონადირეებმა და ბიჭმა აიღეს ისრები, მახვილები და გაემართნენ ყველაზე მაღალ გორა პეკ-ტუსანისაკენ. გზაზე მონადირეები ჩამორჩნენ, ბევრი მათგანი შინ დაბრუნდა.



მარტო ბიჭი წავიდა ყველაზე შორს. იარა, იარა და მიადგა გორებს.

გორებს შორის ციალებდა ... ნუი. მზე ლურჯ ცაზე ბრწყინავდა. ნაპირზე იჯდა თავმოტეხილი ბერიკაცი და თავს აცანცარებდა.

ბიჭი მისკენ გაემართა, რომ ეკითხა, თუ სად ცხოვრობდა ვეფხვი.

ამ დროს ბიჭმა დაინახა ლამაზი ყვავილი და გაიფიქრა: „აი, მოვწყვეტ ამ ყვავილს და წავუღებ ცენ-ზუნეს“.

ყვავილში ბაჭია იჯდა. ბაჭიამ უთხრა ბიჭს:

— ჩემი დედა შორს წავიდა, მე კი ყვავილის საყარაულოდ დამტოვა. თუ შენ ყვავილს მოწყვეტ, მე მომხვდება. მაშ, იყავ კეთილი, ნუ მოწყვეტ ყვავილს და მე შენ რაღაცას გეტყვი. კარგი?

— კარგი.

— ის კაცი მოხუცი კი არა, ვეფხვია. სიბრაზისაგან თავს აცანცარებს...

ბიჭმა არ დაასრულებინა ბაჭიას საუბარი და მყისვე გამოიწვია ვეფხვი ბრძოლაში.

ბიჭი ვეფხვს შეება.

შეკრთა ვეფხვი, დასუსტდა, ითხოვა პატიება, მაგრამ ბიჭმა იცოდა, რომ მტრის დანდობა არ შეიძლება, ჩასცა მახვილი და მკვდარი ვეფხვი მიწას განერთხო. ბიჭმა დაწვა იგი და მისი ფერფლი ქარს გაატანა...

ასე გადაარჩინა ბიჭმა თავისი ქვეყანა ვეფხვისაგან.

მიდის ბიჭი შინისკენ. წინ შემოხვდა კურდღელი უცხო ყვავილით.

— სანამ შენ ვეფხვს ებრძოდი, მე გავიზარდე და ახლა ასეთი ყვავილი ბევრი მაქვს, — უთხრა ბიჭს კურდღელმა. — ეს შენ გქონდეს საჩუქრად იმისათვის, რომ მე შემიბრალე. აიღე! აჩუქე მშვენიერ ცენ-ზუნეს, ის ღირსია ასეთი საჩუქრისა.

ბიჭი დაბრუნდა შინ. მთელი სოფელი წინ შეეგება, მიულოცეს გამარჯვება და უთხრეს:

— ყველაზე ლამაზი ქალი ჩვენში ცენ-ზუნეა. შენ გადაარჩინე იგი, მას შენ უყვარხარ, შეირთე ცოლად.

ბიჭმა შესთავაზა საუცხოო ყვავილი ცენ-ზუნეს. ნაზად ამღერდნენ ლერწმის სტვირები.

ცენ-ზუნე მივიდა ბიჭთან და უთხრა:

— შენ მაჩუქე თავისუფლების წითელი ყვავილი, მადლობელი ვარ!

ბიჭმა და ცენ-ზუნემ დაიწყეს ბედნიერად ცხოვრება. კორეელი ხალხი დღევანდლამდე უმღერის მათ.

თარგმანი ბ. კავკასიძისა



ორთაჭალა თბილისის ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა. ხეხილის ბაღებშია ჩაფლული აქაურობა. საამო სანახავია იგი. წინათ მთელი თბილისი ასე იყო ბუმბერაზი ხეებით შემოჯარული. სიგრილე და სურნელება მოჰქონდა ტყეებიდან სიოს. მაგრამ ეს ბუნებრივი სიმდიდრე და სილამაზე მტერმა გააჩანაგა. უშნოვდებოდა ტურფა მხარე, ზურმუხტი საქართველო. ტყეთა სინესტეს მოწყურებულმა მტკვარმა კლება იწყო, ქალაქში შემოსული თავის კალაპოტს უკვე ველარ ავსებდა და დაიტოტა. მდინარეში რამდენიმე კუნძული გაჩნდა. ერთი ასეთი კუნძული სამასი არაგველის ხიდის ქვემოთ წარმოიშვა. კუნძული დაჭაობებული იყო. მიუხედავად ამისა, მას ვარდის კუნძული დაარქვეს. ვიღაც მდიდარ სომეხს ამ კუნძულის თავში წისქვილი აუშენებია. იქვე ორსართულიანი გოთური სტილის სახლიც დაუდგამს. ავდარში აქ გავლას ყველა უფრთხოდა: ადვილად შეიძლებოდა ჭაობში ჩავარდნა და შიგ ჩახრჩობა. განსაკუთრებით საშიში იყო ღამით მგზავრობა, უკუნეთ სიბნელეში კაცი ვერც გზას ხედავდა და ვერც ჭაობს. სინათლეს კი თბილისს მაშინ აბა, ვინ აღირსებდა!. ხის უბადრუკი სახლებიდან ნავთის ლამფები ბჟუტავდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ თბილისი ძილისაგან გამოაფხიზლა. ქალაქმა მხარბეჭი შეიბერტყა, ძველი ჭუჭყი ჩამოიცილა და ახალი შენობებითა და ბაღებით მოირთო.

თბილისის 1.500 წლის ისტორიაში მრავალი ღირსშესანიშნავი თარიღია, 1933 წლის 22 სექტემბერი კი განსაკუთრებით ბრწყინვალეა. ამ დღეს ქართველი ხალხის საამაყო შვილმა ლ. ბერიამ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტისა და ქალაქის საბჭოს გაერთიანებულ პლენუმზე თბილისის გარდაქმნის გრანდიოზული გეგმა გადაშალა.

მრავალი უბანი შეიცვალა ამის შემდეგ, მრავალი კუთხე გამშვენიერდა. გაჩნდა ახალი ქუჩები — ფართო და ლამაზი, აშენდა მრავალსართულიანი სახლები, ამწვანდა პარკები, ბაღები, ხეივნები, უჩვეულოდ გაიზარდა ქალაქის ტრანსპორტი. თბილისს ეშხი შემატა ახალმა სანაპირომ, შნოიანმა ხიდებმა. ახლა განათება! ქალაქი ახალწლის ღამეს გაჩირაღდნებულ ნაძვის ხეს დაემსგავსა.

საქართველოს ბოლშევიკების ნაცადი ხელმძღვანელის ამხ. კ. ჩარკვიანის ხელმძღვანელობით გასულ წელს დაიწყო ორთაჭალის კეთილმოწყობა.

აქ შენდება ორთაჭალის ჰიდროელექტროსადგური. ამისათვის საჭირო შეიქნა ვარდის კუნძულის აღება. ჰიდროელექტროსადგური არა მარტო ელექტროენერგიით გაამდიდრებს ქალაქს, იგი აგრეთვე გაალამაზებს მას. ელსადგურის მთავარი კაშხალი მტკვარს გზას შეუკრავს და მის დონეს თერთმეტი მეტრით ასწევს. აქედან აყოლებული ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკამდე (ყოფილი მუშტაიდი) მტკვარზე მოეწყობა ნაოსნობა; მასზე ისრიალებენ მოტორიანი ნავები, გლისერები.

... ორჯონიკიძის სახელობის პარკთან პატარა გემში ვსხდებით. მივდივართ მტკვრის დინების მიმართულებით. მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებზე აშრიალებული ჭადრების ჩრდილში ავტომობილების უწყვეტი ნაკადი მიედინება. შორიდან დაგვყურებს მრავალსართულიანი სახლები. ელბაქიძის ხიდს ქვემოთ მარცხენა სანაპიროზე 125-ბინიანი ვეებერთელა ლამაზი შენობა ცაში აზიდულა. გზადაგზა გხვდებიან პატარა გემები. ამათ მგზავრები გადაყავთ, ზოგი კი საბარგოა... გავიარეთ მეტეხის ლამაზი ხიდის ქვეშ. ამის ადგილზე 1951 წლის მაისამდე ძველისძველი ულაზათო ხიდი იყო მტკვარზე გადებული. სადღა არის უბადრუკი მეჩეთი, სეიდ-აბადის მინგრეულ-მონგრეული შუკები და სახლები! აღარც სამასი არაგველის ხიდია. მის მაგივრად ზედ ჰიდროსადგურის კაშხალზე გადის ფართო და

ბნოიანი ბეტონის ხიდი. ნაკუნძულარზე ტურბინები გრიალებენ, გუგუნებენ ელსადგურის მანქანები, ხმაურობს კაშხალში გამოვარდნილი წყალი...

ასე იქნება უახლოეს წლებში. ახლა ყოფილი ვარდის კუნძულზე გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს. მთავარი კაშხალის ასაშენებლად საჭიროა მტკვრის ფსკერზე ღრმა ქვაბულის ამოჭრა. ფსკერი კლდოვანია. მშენებლები პირველხარისხოვანი მანქანა-იარაღების გამოყენებით ამ რთულ საქმეს პირნათლად ასრულებენ. განუწყვეტლივ მუშაობენ მბურღავები, ჭრიალებენ ექსკავატორები, გუგუნებენ ბულდოზერები, ისმის აფეთქების ყრუ ხმები — ანგრევენ მტკვრის კლდოვან ფსკერს.

ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე ჩამოსული არიან რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხის მცხოვრებლები. ყოფილი კოლმეურნეები ახლა მოწინავე მშენებლები გახდნენ, მბურღავები, მებეტონეები... ზოგი ექსკავატორს, ბულდოზერს და სხვა მრავალი სახის მანქანას მართავს. მშენებლობას ხელმძღვანელობს გამოცდილი ინჟინერი ირაკლი მღებრიშვილი.

სამუშაო მეტად საპასუხისმგებლო და ძნელია. მიუხედავად ამისა, მშენებლები გადაჭარბებით ასრულებენ დღიურ ნორმებს. ჰიდროელექტროსადგურსაც ვადაზე ადრე გადასცემენ საექსპლოატაციოდ. ასე აქვთ გადაწყვეტილი. შესძლებენ კიდევაც.

ირ. ბოცირიძე

☆

გმირი ეუფლება მეშახტის პროფესიას

ეს იყო ამ ცოტა ხნის წინათ. ტრესტ „ტყვარჩელ-ქვანახშირის“ ბერიას სახელობის შახტის მერვე უბნის მეშახტეთა რიგებს შეემატა ახალი ადამიანი.

საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს ვარსკვლავით მკერდდამშვენებულ ახალმოსულს გარს შემოეხვივნენ მუშები, გაეხარდათ მისი მოსვლა.

მეშახტეებმა იცნეს სამამულო ომის სახელგანთქმული მებრძოლი, რაიხსტაგზე იერიშის მონაწილე, საბჭოთა კავშირის გმირი მელიტონ ვარლამის ძე ქანთარია. იგი აქ მოვიდა ოჩამჩირის რაიონის სოფელ აგუბედიის კოლმეურნეობა „გამარჯვებიდან“.

საბჭოთა კავშირის გმირმა, გუშინდელმა კოლმეურნემ, მელიტონ ქანთარიამ მთელი მონდომებით მოჰკიდა ხელი მისთვის ახალი პროფესიის შესწავლას. გამოცდილი მეშახტეების ვასილ უიტნიკოვისა და ტიმოთე კარპენკოს ხელმძღვანელობითა და დახმარებით მელიტონ ქანთარია მოკლე დროში საგრძნობლად დაეუფლა მეშახტის რთულ და საპატიო პროფესიას, წარჩინებით შეისწავლა ხელის ელექტრობურღის „ებრ-5“ ხმარება, შპურების სწორად განლაგება, სანგრევის გაბურღვა, გამომუშავებული სივრცის გამაგრება.

როდესაც მელიტონ ქანთარიას შესახებ ლაპარაკობ, გაგონდება ფურცლები საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ისტორიიდან.

...1945 წლის 30 აპრილი. ეს დღე შევიდა, როგორც სახელოვანი ფურცელი, საბჭოთა არმიის, მთელი ჩვენი ხალხის ისტორიაში. ამ დღეს ბერლინში, რაიხსტაგის თავზე აფრიალდა გამარჯვების ალისფერი დროშა.

რაიხსტაგის შენობის თავზე გამარჯვების დროშის აღმართვა წილად ხვდა საბჭოთა კავშირის სახელგანთქმულ მეომრებს — ლენინურ-სტალინური კომკავშირის აღზრდილთ მიხეილ ალექსის ძე ეგოროვს და მელიტონ ვარლამის ძე ქანთარიას.

მადლიერმა სამშობლომ ღირსეული შეფასება მისცა საბჭოთა მეომრების ვაჟკაცობასა და სიმამაცეს. მიხეილ ეგოროვსა და მელიტონ ქანთარიას მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება.

დამთავრდა ომი. ქვეყანა დღესასწაულობდა ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვებას. ფრონტელები უბრუნდებოდნენ მშვიდობიან შემოქმედებით შრომას.

დემობილიზებულ მეომართა შორის იყო ყოფილი მზვერავი, საბჭოთა კავშირის გმირი მელიტონ ვარლამის ძე ქანთარიაც. შინ დაბრუნების შემდეგ, 1946 წლის ოქტომბერში, დემობილიზებულ ფრონტელ მეომარს კოლმეურნეობის გამგეობამ მიანდო მემინდვრეობის რგოლის ხელმძღვანელობა. მელიტონ ქანთარიას და მისი რგოლის წევრებს წლითიწლობით მოჰყავდათ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი მოსავალი.

ახლა სახელოვანი გმირი ღრმად ეუფლება მეშახტის საპატიო პროფესიას.

ამას წინათ ფრონტელი მეგობრები მ. ქანთარია და მ. ეგოროვი ერთმანეთს შეხვდნენ სოხუმში. ამაღელვებელი იყო მათი ეს შეხვედრა — მრავალი რამ მოიგონეს, ერთმანეთს უამბეს თავიანთი ომისშემდგომი მშვიდობიანი შრომის შესახებ.

ე. მახათაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტარქტიდა

ფ. ბელინსჰაუზენი

და

მისი

რუსი

მ. ლაზარევი

აღმოჩენები

ანტარქტიდა*) სამხრეთ პოლუსის ირგვლივ მდებარეობს და მუდამ თოვლითა და ყინულით დაფარულ კონტინენტს წარმოადგენს. მისი ფართობი 14,2 მილიონ კვადრატულ კილომეტრს უდრის.

ანტარქტიდის კონტინენტი გარშემორტყმულია წყლის ვეებერთელა სივრცით — წყნარი, ატლანტისა და ინდოეთის ოკეანეებით. ანტარქტიდიდან სამხრეთ ამერიკა დაშორებულია 1350 კილომეტრით, ავსტრალია — 2500 კილომეტრით, აფრიკა—3900 კილომეტრით. ანტარქტიდის კლიმატი მეტად მკაცრია. აქ თითქმის განუწყვეტლივ ქრის ცივი ქარი. კონტინენტი მთლიანად უდაბურია, ხოლო მის მახლობელ კუნძულებზე ვითარდება მეცხვარეობა და მეირმეობა. აღმოჩენილია წიაღისეული სიმდიდრე: ქვანახშირი, რკინის მადნის საბადო, ფერადი და იშვიათი ლითონები და სხვ.

ანტარქტიკის წყლები მდიდარია ფრინველებით და ზღვის ცხოველებით: ვეშაპით, სელაპით, პინგვინით და სხვ. ვეშაპთა მსოფლიო მოპოვების ცხრა მეათედი ანტარქტიკაზე მოდის. ანტარქტიკის წყლების ლურჯი ვეშაპი ხშირად სიგრძით 35 მეტრს აღწევს, წონით კი —150 ტონას. 1946 წლიდან სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სამინისტრომ მოაწყო ვეშაპთსანადირო ფლოტილია „სლავა", რომელიც ყოველ წელს რეგულარულად ეწევა ვეშაპზე ნადირობას ანტარქტიკის წყლებში.

ანტარქტიდის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ მასზე გადის უმოკლესი საჰაერო გზა სამხრეთ ამერიკასა, აფრიკასა და ავსტრალიას შორის. ანტარქტიდის მატერიკზე და მის გარშემო მდებარე კუნძულებზე შესაძლებელია შეიქმნას დიდი საჰაერო და საზღვაო ბაზა.

ბოლოს, ანტარქტიდასა და მის მახლობლად მდებარე კუნძულებს მეცნიერული მნიშვნელობა აქვს — ისინი მოხერხებული ბაზებია მეტეოროლოგიური დაკვირვებისათვის.

აი, ამიტომაა, რომ ამ უკანასკნელ ხანებში იმპერიალისტური სახელმწიფოები, განსაკუთრებით ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები, დიდ ინტერესს იჩენენ ანტარქტიკის მიმართ, რათა გაინაწილონ ეს მეტად მნიშვნელოვანი მხარე.

ვინ აღმოაჩინა ანტარქტიდა?

XVIII საუკუნის 70-იან წლებამდე სწავლულთა შორის გავრცელებული იყო აზრი, თითქოს სამხრეთ პოლუსის ირგვლივ მდებარეობდა უზარმაზარი „სამხრეთის მიწა", ზომიერი ჰავით, მდიდარი მცენარეულობითა და მოსახლეობით.

ამავე საუკუნის 1772-1775 წლებში სამხრეთ პოლარულ ზღვებში იმოგზაურა ინგლისელმა ჯემს კუკმა იმ მიზნით, რომ გამოერკვია „სამხრეთის მიწა". მან მოიარა წყლის მთელი არე სამხრეთ პოლარული წრის გაყოლებით, აღმოაჩინა სამხრეთ გეორგიის კუნძული და სანდვიჩის მიწა, მაგრამ სასურველი „სამხრეთის მიწა" კი ვერ აღმოაჩინა. მოგზაურობისას ჯემს კუკის ექსპედიციას გზა რამდენიმეჯერ გადაუღობა აისბერ-

*) ანტარქტიდა ეწოდება სამხრეთ პოლუსის ირგვლივ მდებარე კონტინენტს; ანტარქტიკა შეიცავს ანტარქტიდასა და მის მოსაზღვრე სამი — წყნარი, ატლანტისა და ინდოეთის — ოკეანის ნაწილს და იქ მდებარე კუნძულებს.

გებმა (მცურავმა ყინულის მთებმა). ბოლოს ჯემს კუკი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სამხრეთ პოლარული წრის იქით არავითარი მიწა არ არსებობს, სამხრეთ პოლუსის მიმართულებით გადაჭიმულია ყინულთა გაუვალი არე, რომელიც არასოდეს არ იქნება გამოკვლეული.

დასავლეთ ევროპის ყველა გეოგრაფმა და მეზღვაურმა, ჯემს კუკის ავტორიტეტზე დაყრდნობით, ერთხელ და სამუდამოდ დაგმო ჰიპოთეზა სამხრეთის უხილავი მიწის არსებობის შესახებ. ჯემს კუკის მოგზაურობის შემდეგ 45 წლის განმავლობაში თითქმის დავიწყებას მიეცა ანტარქტიდის გამოკვლევა.

ანტარქტიდის მატერიკის აღმოჩენის ისტორია უშუალოდ დაკავშირებულია რუს მეზღვაურებთან.

1819 წლის 16 ივლისს* კრონშტადტიდან გამოვიდა ექსპედიცია — ორი ხომალდი, რომლის მეთაურები იყვნენ მეორე რანგის კაპიტანი თადეოზ ბელინსჰაუზენი (ექსპედიციის უფროსი) და ლეიტენანტი მიხეილ ლაზარევი (შემდეგ ორივე ადმირალები).

კრონშტადტიდან გამოსვლის 5 თვის შემდეგ ბელინსჰაუზენის ექსპედიციამ მიაღწია სამხრეთ გეორგიის კუნძულს. სამხრეთიდან კუნძულის შემოვლით ხომალდმა მიმართულება აიღო სანდვიჩის მიწისაკენ. ამ მიწის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ეგი შედგებოდა რამდენიმე კუნძულისაგან და არა ერთი კუნძულისაგან, როგორც ეს ჯემს კუკმა აღწერა 1775 წელს. ყველა ახლად აღმოჩენილი კუნძული რუსული სახელწოდებით გადაიტანეს რუკაზე, ხოლო სანდვიჩის მიწის კუნძულების მთელ ჯგუფს სამხრეთ სანდვიჩის კუნძულები უწოდეს.

სამხრეთ სანდვიჩის კუნძულების შესწავლის შემდეგ ექსპედიციამ გეზი სამხრეთისაკენ აიღო, გადაკვეთა სამხრეთ პოლარული წრე. ძლიერი სიცივე და ქარი საშიშროებას უქმნიდა იალქნიან ხომალდებს, მაგრამ გულადი რუსი მეზღვაურები ყოველგვარი სიძნელის გადალახვით მიიწევდნენ წინ — სამხრეთისაკენ. მოგზაურობის დროს მეცნიერულ დაკვირვებასაც აწარმოებდნენ.

1820 წლის 28 იანვარს სამხრეთ განედის 69° 21, ექსპედიცია იმყოფებოდა ანტარქტიდის კონტინენტიდან 20-30 კილომეტრის დაშორებით, მაგრამ ძლიერი ნისლისა და ქარიშხლის გამო კონტინენტი შეუმჩნეველი დარჩა (ასი წლის შემდეგ ამ ადგილას მივიდა ნორვეგიის ექსპედიცია და მას „პრინცესა მარტის მიწები“ უწოდა). 3 თებერვალს რუსეთის ექსპედიცია

*) წერილში თარიღები ყველგან ახალი სტილითაა ნაჩვენები.



ხელახლა მიუახლოვდა კონტინენტს სამხრეთ განედის 69° 25¹. ჰაერში ფრინველების გამოჩენით ბელინსჰაუზენმა იგრძნო, რომ ექსპედიცია ახლოს იყო კონტინენტთან, მაგრამ მკაცრი კლიმატისა და ყინულთა გორების გამო ნაპირზე მიდგომა შეუძლებელი გახდა, და გზა განაგრძეს აღმოსავლეთისაკენ.

1820 წლის ზაფხული (სამხრეთით ამ დროს ზამთარია) ექსპედიციამ დაჰყო პოლარული წყლების უფრო დაბალ განედებში, სადაც აწარმოებდნენ ახალი მიწების აღმოჩენებს და მეცნიერულ დაკვირვებებს. შემოდგომაზე ექსპედიციამ ხელახლა აიღო გეზი სამხრეთისაკენ. 1821 წლის 22 იანვარს სამხრეთ განედის 68° 57¹ და დასავლეთ გრძედის 90° 46¹ აღმოაჩინეს კუნძული, რომელსაც უწოდეს პეტრე I სახელი. ახალი მიწის აღმოჩენით გამხნევებულმა რუსმა მეზღვაურებმა გაორკეცებული ენერგიით განაგრძეს გზა. ერთი კვირის მოგზაურობის შემდეგ, 1821 წლის 29 იანვარს, მათ დაინახეს ახალი მიწის ნაპირები. საბედნიეროდ, ამ დღეს ნათელი დღე იყო, რაც იშვიათი მოვლენაა ამ განედისათვის. ბელინსჰაუზენი თავის დღიურში წერს: „დილის 11 საათზე ჩვენ დავინახეთ ნაპირი, რომლის კონცხი მიიმართებოდა ჩრდილოეთისაკენ და მთავრდებოდა მაღალი მთით, რომელიც სხვა მთებისაგან გამოყოფილი იყო ყელით“. აღმოჩენილ მიწას რუსმა მეზღვაურებმა ალექსანდრე პირველის ნაპირი უწოდეს. იგი ანტარქტიდის კონტინენტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. მისი მაღალი მთების მდებარეობა მეზღვაურებმა სამხრეთ განედის 60° 45₁ და აღმოსავლეთ გრძედის 73° 3¹-ით განსაზღვრეს.

ასე აღმოაჩინეს რუსმა მეზღვაურებმა 130 წლის წინათ, 1821 წლის 29 იანვარს, ანტარქტიდის მატერიკი, რომლის არსებობის შესახებ მანამდე არაფერი იცოდა მეცნიერებამ.

ალექსანდრე პირველის ნაპირიდან რუსეთის ექსპედიციამ აღმოსავლეთისაკენ განაგრძო მოგზაურობა. და მთლიანად დაამთავრა ანტარქტიდის შემოვლა. მოგზაურობისას მათ 28 კუნძულზე მეტი აღმოაჩინეს. ესენია: ლესკოვის, მიხაილოვის, ბოროდინის, დემიდოვის, პეტრე პირველის, ალექსანდრე პირველის მიწა, ბელინსჰაუზენის ზღვა და სხვა.

1821 წლის 6 აგვისტოს რუსი მეზღვაურები ბრწყინვალედ გამარჯვებულნი დაბრუნდნენ კრონშტადტში. მათ 751 დღე მოანდომეს მოგზაურობას და 90 ათას კილომეტრზე მეტი მანძილი გაიარეს.

ბ. ჩანგაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქროს ვარსკვლავი

მახსოვს, ჩაის ბუჩქი გწვდებოდა ყელამდი,
წინ კი გამარჯვების ღრმა რწმენად გიძღოდა
სიზმარში ნახული კრემლი და ბელადი,
ბელადი, რომელმაც შენ გმირი გიწოდა.

ბელადზე ოცნებას აყავდი თვით ცამდე
და მარტო ფიქრებში არ ქროდა დრო მაშინ:
შენ სწავლა-გარჯაში იხარე, იზარდე
და ფრთები გაშალე სტალინურ შრომაში.

გსურდა, შენს ღირსებას კრემლშიც მიეღწია, —
შენ ხომ ხალხს აღუთქვი ასეთი პირობა, —
და მალე ქალიშვილს ღიმილით გეწვია
ნასიზმრი კი არა, ნამდვილი გმირობა.

ასრულდა ოცნება, და ოქროს ვარსკვლავი
შენს მკერდზე მგზნებარე გულთან აელვარდა.
მას იცავ და უვლი საკუთარ თავივით,
იგი ხომ კრემლიდან მოგიძღვნა ბელადმა!

გივი ბარამიძე

კვლავ სკოლას უბრუნდებიან

აწ შემოდგომა გვიღიმის,
ზვარში მტევნები ტკბებიან,
მალხაზი გოგო-ბიჭები
კვლავ სკოლას უბრუნდებიან.

შემოიარეს მთა-ბარი,
გაეცვნენ სოფლებს, ქალაქებს,
სახელმძღვანელო წიგნებიც
წინასწარ მოიმარაგეს.

და გულმა განა გაუძლოთ?
ბევრს უკვე გადუფურცლია.
მათ შესახვედრად საამოდ
სკოლასაც ფერი უცვლია.

აწ შემოდგომა გვიღიმის,
ზღვარში მტევნები ტკბებიან,
მალხაზი გოგო-ბიჭები
კვლავ სკოლას უბრუნდებიან.

ფირუზ უთალიშვილი



„ბურებთან“ — ამ სათაურით გამოვიდა ცალკე წიგნად ნიკო ბაგრატიონის (1868-1933 წ.) მოგონებანი. ნ. ბაგრატიონი სამხრეთ აფრიკის ჯუნგლებში მამაცურად ეხმარებოდა ბურებს ინგლისელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ. მოგონებანი საინტერესოა იმ მხრივ, რომ ბაგრატიონი აღწერს ინგლის-ბურების საომარ მოქმედებათა მსვლელობას, გვაცნობს ბურების გამოჩენილ ხელმძღვანელებს და სარდლებს, აღწერს ინგლისელ დამპყრობთა საქმიანობას და თუ როგორ ახშობდნენ ისინი სისხლში თავისუფლებისმოყვარე ბურების რესპუბლიკას.

ბრძოლების დროს ნ. ბაგრატიონი ინგლისელებმა ჩაიგდეს ტყვედ და წმინდა ელენეს კუნძულზე გააგზავნეს. ეს უკანასკნელი პატარა კუნძულია ატლანტის ოკეანის ცენტრალურ ნაწილში, მისი ფართობი 200 კვადრატულ კილომეტრს უდრის, სადაც ნაპოლეონი იყო ტყვედ 1815 წლიდან ვიდრე არ გარდაიცვალა (1821 წ.). ნ. ბაგრატიონი აღწერს კუნძულის ბუნებას, იქაურ ცხოვრებას და სხვ.

ვინ არიან ბურები და საიდან მოხვდნენ აფრიკაში? მეჩვიდმეტე საუკუნიდან სამხრეთ აფრიკაში დიდი რაოდენობით სახლდებიან უმიწაწყლო ჰოლანდიელი გლეხები. ჰოლანდიურ ენაზე „ბური“ გლეხს, მიწას, მუშას ნიშნავს და სწორედ აქედან წარმოდგება მათი სახელწოდება. მათთან ერთად დიდი რაოდენობით მოდიან ფრანგები (ჰუგენოტები), გერმანელები. ბურები ჯერ აფრიკის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში დასახლდნენ, რომელიც კაპის კოლონიის სახელწოდებით იყო ცნობილი.

მალე ინგლისელებმა კაპის კოლონიის ტერიტორია წაართვეს ბურებს, რადგანაც კოლონიას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ინგლისელებისათვის, როგორც საშუალედო პუნქტს ევროპა-ინდოეთის საზღვაო გზაზე (აფრიკის შემოვლით). ბურებმა უფრო ჩრდილოეთით გადაინაცვლეს და დააარსეს ორი რესპუბლიკა: ტრანსვაალი და ორანჟი.

ინგლისმა იცნო ამ ორი რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, მაგრამ მალე ორანჟის რესპუბლიკის ტერიტორიაზე აღმოჩენილ იქნა ალმასის უმდიდრესი საბადოები, ხოლო ტრანსვაალში კი ოქროს უდიდესი საბადოები.

ინგლისელები შეეცადნენ ხელთ ჩაეგდოთ ალმასისა და ოქროს საბადოები და ბურების რესპუბლიკები ინგლისის კოლონიებად გადაექციათ.

1899 წლის 11 ოქტომბერს დაიწყო ინგლის-ბურების ომი, რომელიც შედარებით ვრცლად და საინტერესოდ აქვს აღწერილი ნ. ბაგრატიონს, როგორც ბრძოლების უშუალო მონაწილეს. 1902 წლის 31 მაისს ბურებმა ხელი მოაწერეს ზავზე, რომლის თანახმად ტრანსვაალისა და ორანჟის რესპუბლიკებმა დაკარგეს დამოუკიდებლობა და ისინი ნატალისა და კაპის კოლონიებთან ერთად შეივიდნენ სამხრეთ-აფრიკის კავშირის დომინიონში 1910 წელს.

პოლიტიკური დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებამ ბურებში კვლავ იჩინა თავი პირველი მსოფლიო ომის დროს — 1914 წლის დამლევს ბურები კვლავ აჯანყდნენ, მაგრამ უშედეგოდ.

ნიკო ბაგრატიონის წიგნი „ბურებთან“, რომელიც გამოსცა „საბჭოთა მწერალმა“, საინტერესოდაა დაწერილი და კარგად იკითხება.

გ. ზარდალიშვილი



ჯადრაკის ცხენის სვლით

ცხენის სვლით წაიკითხეთ აღნიშნულ უჯრედებში მოთავსებული მარცვლები ისე, რომ მიიღოთ ჩვენი 5 თვალსაჩინო მწერლის, სტალინური პრემიის ლაურეატების სახელი და გვარი.

ისრით ნაჩვენებია საწყისი უჯრედი.

შეადგინა **რ. თავდიდიშვილმა**

ში	ა	იშ	ორ	ონ	ლი
ჭე	ბა	შან	ვი	ვი	გი
დრე	ამ	ლექ	ლე	გი	ი
ში	რე	ა	ლი	მო	ლი
გოდ	სან	ექს	ი	ძე	ვი
ანდ	ძე	გრი	სამ	ად	ლი

ა მ ო ც ა ნ ა

ნუცას ჰქონდა ძმაზე მეტი
სულ ხუთმეტი მანეთი.
(არვინ იცის, რას უდრიდა
მათი ფულის ნაერთი).
ძმამ იყიდა ას მანეთად,
რაც უნდოდა, წიგნები,
დამ ას ათად — საკაბე და
ერთი წყვილი წინდები.
ცხრა მანეთი ნაშთი დედას
მისცეს, არ დაუმალეს.
ვის რამდენი ფული დარჩა,
ვინ ამოხსნის უმალვე?

დ. ძეძამიძე

№ 7-ში მოთავსებული კროსვორდის პასუხები

ვერტიკალურად: 1) მარსი; 2) „პიონერი"; 3) ბელგია; 4) ბილბაო; 5) არაგვი; 6) გალილეი; 7) მირაჟი; 8) ნავთი; 9) ბზა; 10) მზე; 11) კაკაო; 12) „ავრორა"; 13) ცირკონი; 14) ისინდი; 15) ირტიში; 16) კომეტა; 17) კალორია; 18) ირემი.

ჰორიზონტალურად: 1) მაიორი; 5) ანაპა; 19) ზამთარი; 20) მესტია; 21) საჰარა; 22) ბავარია; 23) შირაქი; 24) ურანი; 25) ჩაი; 26) კიო; 27) კორეა; 28) იპრიტი; 29) ტელმანი; 30) ოაზისი; 31 ლაგამი; 32) ტიბეტი; 33) ფარაონი; 34) ისანი.

გადაწყვეტა

ძროხას უნდა მოვაბათ ორი თოკი: თითოეული მათგანის სიგრძე უნდა უდრიდეს საძოვრის რადიუსის სიგრძეს. ერთი თოკის ბოლო უნდა დავამაგროთ წრის ცენტრში, ხოლო მეორე თოკის ბოლოს მივამაგროთ რგოლი, რომელიც იმოძრავებს გაჭიმულ თოკზე (იხილე ნახაზი).





განყოფილებას ხელმძღვანელობს ოსტატობის კანდიდატი

თენგიზ გიორგაძე

დებიუტის ძირითადი პროცესები

საჭადრაკო პარტია დაყოფილია სამ ნაწილად: დებიუტი (დასაწყისი), მიტელშპილი (შუა თამაში) და ენდშპილი (თამაშის ბოლო). თითოეულ ნაწილს თავისი თეორია აქვს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დებიუტის სწორ გათამაშებას. დებიუტი ჰქვია იმ ნაწილს, რომელიც მოიცავს დასაწყისის 8-10 სვლას. დებიუტში მიღებული უპირატესობა ხშირად საკმარისი ხდება გამარჯვების მიღწევისათვის. ამიტომ დებიუტის ცოდნა აუცილებელია. რომელი დებიუტია ყველაზე კარგი? კარგი და ცუდი დებიუტი საჭადრაკო პარტიაში არ არსებობს. ყველა დებიუტი კარგია, თუ მას გაითამაშებთ არსებული სადებიუტო პრინციპების შესაბამისად. როგორია ეს პრინციპები?

1. საჭიროა პირველი სვლებიდანვე სწრაფად გამოიყენოთ ფიგურები და დააყენოთ ისინი ისეთ უჯრედებზე, სადაც მათ ექნებათ მოქმედების დიდი უნარიანობა. ასეთი ადგილი დაფის ცენტრია d4, d5 e4, e5 ან ცენტრის ახლო მდებარე უჯრები. თამაში ძირითადად ცენტრში ვითარდება. დებიუტის მთავარი მოტივაცია ცენტრისათვის ბრძოლა. ხელსაყრელია ცენტრალური უჯრედების პაიკებით დაკავება.

2. ოერიშის დაწყებამდე საჭიროა ფიგურების მობილიზაციის დამთავრება. პრაქტიკაში ცხადყო, რომ უმჯობესია ჯერ მსუბუქი ფიგურების (კუ, მხედარი) გამოყვანა, ხოლო შემდეგ მძიმე (ლაზიერი, ეტლი) ფიგურებისა.

3. დებიუტი (და საერთოდ მთელი პარტია) უნდა გათამაშდეს წინასწარ მოფიქრებული გეგმით. გეგმის მტკიცედ განხორციელებაზე დამოკიდებულია პარტიის ბედიც. აი, ეს პრინციპებია გატარებული ყველა ცნობილ სადებიუტო სისტემაში.

დებიუტის ამა თუ იმ სისტემის შესწავლისას აუცილებლად უნდა ჩასწვდეთ მის შინაარსს, მთავარ იდეას. მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლიათ მისი თამაში. ერიდეთ ვარიანტების მექანიკურ დაზეპირებას. დაიმახსოვრეთ მხოლოდ ის ვარიანტები, რომელთა ცოდნა აუცილებელია.

კომპოზიცია

საჭადრაკო კომპოზიცია, ანუ ამოცანებისა და ეტიუდების შედგენა და გადაწყვეტა, საჭადრაკო ხელოვნების ერთ-ერთი საინტერესო დარგია. ამოცანების და, განსაკუთრებით, ეტიუდების სწორად გადაწყვეტა, საკომპოზიციო იდეების გაცნობა დიდად ეხმარება პრაქტიკოს მოჭადრაკეს თამაშის კლასის ამაღლებაში. აქ მოჭადრაკე ეჩვევა კონკრეტულად დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემას, ანალიზის წარმოებას და შემოქმედებით აზროვნებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენი კვერცხის დადება შეუძლია ქათამს?

ფრინველები კვერცხით მრავლდებიან, მაგრამ არც ერთი ფრინველი იმდენ კვერცხს არ დებს, რამდენსაც ქათამი.

საბჭოთა კავშირში ქათმის მრავალი ჯიშია მოშენებული. ბევრი ჯიშის თითო ქათამი წელიწადში 200-დან 300-მდე და ზოგი მეტ კვერცხს დებს, ესე იგი, თავის წინაპარ გარეულ ქათამზე 30-ჯერ მეტს, თავის წონაზე კი 8-10-ჯერ მეტს.

სულ თავისი სიცოცხლის მანძილზე რამდენი კვერცხის დადება შეუძლია ქათამს?

ამ კითხვით არა ერთხელ დაინტერესებულან მეცნიერები და მეფრინველეობის საქმის ოსტატები.

ამჟამად უკვე დამტკიცებულია, რომ, მაგალითად, იხვი 4 წელიწადს ინარჩუნებს გამრავლების უნარს, ინდაური — 5 წელიწადს, ქათამი — 6 წელიწადს, ხოლო ბატი — 8 წელიწადს.

თითოეულ ქათამს სხეულში კვერცხის 600-დან 4000-მდე ჩანასახი აქვს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს იგი თავისი სიცოცხლის მანძილზე უეჭველად ათასობით კვერცხს დადებს.

ქათმის კვერცხმდებლობა დამოკიდებულია არა მარტო მის კერძო თვისებებზე, არამედ იმ პირობებზეც, რომელშიც ის ცხოვრობს, ესე იგი კვებაზე, სითბოზე, ბინაზე და სხვ.

ცუდად მოვლილმა ქათამმა შეიძლება კვერცხი სულ არ დადოს ან უმნიშვნელო რაოდენობით დადოს, ხშირად იყოს მომცდარი ან უნაყოფო, განუვითარებელი დარჩეს კვერცხის ჩანასახის უმეტესი ნაწილი.

ამიტომ მეფრინველის ამოცანაა შექმნას ისეთი პირობები, რომ ქათამი თითქმის ყოველდღე დებდეს კვერცხს, იყოლიოს იგი ყოველთვის საუკეთესოდ მოვლილი, დიდხანს შეუნარჩუნოს კვერცხის დებისა და გამრავლების უნარი. ეს იმას ნიშნავს, რომ ფერმებსა და საკუთარ მეურნეობაშიც დავიცვათ მეცნიერებისა და სტახანოველების მიერ დადგენილი წესები, საბჭოთა მოწინავე მეფრინველეობის მიღწევები.

კარგად მოვლილ ქათამს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია კვერცხით, ხორცით, ბუმბულით.

აგრონომი ტრ. თოდრაძე

შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვ.
რ. ქორქია — სურათი (მოთხრობა)	1
უკანასკნელი დღეები ბანაკში (წერილი)	4
ჰ. კარაიანი — დედის თვალი (ლექსი, თარგმანი **ი. ბურჭულაძისა**)	5
ლ. მრელაშვილი — მოდაკენი (მოთხრობა)	6
მ. გიორგიძე — საბჭოთა ახალგაზრდობის დიდი მოამაგე (წერილი)	10
კ. გოგიაშვილი — პარტიზანის ნაამბობი (მოთხრობა)	11
მ. სურგულაძე — პატარა მეაბრეშუმეები (ლექსი)	14
ლ. ვარდოსანიძე — ნაზიმ ჰიქმეთი (წერილი)	15
ი. სიხარულიძე — ჩაი (ლექსი)	16
ნ. არტიუხოვი — წერტილი (მოთხრობა, თარგმანი **ფ. ნიშნიანიძისა**)	17
ბ. მეტრეველი — ზედვაკე (ლექსი)	20
მ. შალიკაშვილი — ახალ ჩინეთში (წერილი)	21
ზღაპარი გულად ჭაბუკზე და მშვენიერ ასულ ცენ-ზუნეზე (კორეული ზღაპარი, თარგმანი **პ. კავკასიძისა**)	23
ი. გოცირიძე — ორთაჭალის ჰიდროელექტროსადგური (ნარკვევი)	25
გ. ჩანგაშვილი — ანტარქტიდა და მისი რუსი აღმომჩენები (წერილი)	27
გ. ბარამიძე — ოქროს ვარსკვლავი (ლექსი)	29
ფ. უთალიშვილი — კვლავ სკოლას უბრუნდებიან	29
გ. ზარდალიშვილი — „ბურებთან" (წერილი)	30
გასართობი, ჭადრაკი	31
გ. კაჭახიძე — მადლობელი ვართ ზაფხულის (ლექსი)	
გარეკანის	მე-2 გვ.
ჩვენი კალენდარი	„ მე-3 „

გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა შესრულებულია მხატვრების **გლებ დიკისა** და **გ. ფოცხიშვილის** მიერ; გარეკანის მეოთხე გვერდზეა ფოტოეტიუდი **ვ. ჩერკასოვისა.**

რედაქტორი **გ. კაჭახიძე.** სარედაქციო კოლეგია: **ე. აგლაძე, დ. გვრიტიშვილი, ვ. ვარდიაშვილი, გ. თავზიშვილი, მარიჯანი, მ. მირიანაშვილი, ო. ნემსაძე, ზ. შენგელია.**

პასუხისმგებელი მდივანი ვ. თოდუა. **სამხატვრო რედაქტორი გ. ფოცხიშვილი.**

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-81-85

უე 04317 **ტირაჟი 15.000** **გამომცემლობის შეკვ. № 357** **სტამბის შეკვ. № 964**

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14

ჟურნალის გარეკანი დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკას" ოფსეტ-მანქანაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი კალენდარი

სოფრ. მგალობლიშვილი

მეცხრამეტე საუკუნის ქართველ მწერალთა შორის სოფრომ მგალობლიშვილს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. იგი ქართველ ხალხსან მწერალთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. ნიკო ლომოურის, ეკ. გაბაშვილისა და სხვა ხალხოსან მწერალთა მსგავსად სოფრომ მგალობლიშვილი თავის ნაწარმოებებში გვიხატავს გასული საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს გლეხობის დუხჭირ ცხოვრებას. მამასახლისი და თავადი, მღვდელი და მევახშე, მოხელე, მკითხავი და იმდროინდელი სოფლის სხვა პარაზიტები სისხლს სწოვდნენ მშრომელ გლეხს, ცხოვრებას უმწარებდნენ, ჩაგრავდნენ და აბეჩავებდნენ მას. არაადამიანური, პირუტყვული შრომის მიუხედავად წელში ვეღარ იმართებოდა გლეხი, გაჭირვებიდან ვეღარ გამოდიოდა, კუჭს ვერ იძღებდა და ვერ იმოსებოდა. ამის მიზეზი კი მაშინდელი სოციალური უკუღმართობა, წოდებრივი უთანასწორობა და უსამართლობა იყო.

სწორედ ამ უსამართლობას აუჯანყდნენ გლეხები, რაც დახატულია მოთხრობა „ჯორ-ზაქარაში". სოფრომ მგალობლიშვილის ნაწარმოებთა შორის ყველაზე თვალსაჩინოა მოთხრობა „ჯორ-ზაქარა". უსამართლობით, ჩაგვრა-მონობით განაწამები სოფელი ტორტლა აღდგება თავად მარუშაძის თავაშვებულობის წინააღმდეგ. აჯანყებული გლეხობა, რომელსაც სათავეში ზაქარია ჯიღაური უდგას, კლავს თავადის მოურავს სოსიკას. გლეხობა დგება ტერორის გზაზე, სიცოცხლეს უმწარებს სისხლისმწოველ თავად მარუშაძეს. სოფელი ტორტლა რევოლუციის ქარცეცხლითაა გარემოცული. თავადი იშველიებს ჩაჩნების რაზმს. გლეხობა მაინც აღწევს დროებით თავისუფლებას, თავადს ეურჩება და არ უხდის ღალას. მწვავდება კლასთა ბრძოლა. აჯანყების ჩასაქრობად თავადი ახლა ყაზახების რაზმს გამოიწვევს ქალაქიდან. სოფელი მაინც არ ყრის იარაღს. რევოლუციურ მოძრაობაში ებმება სოფლის მშრომელი გლეხობა — კაცი და ქალი. მაგრამ ბოლოს მაინც ძალას ადმართი ახვნევინა თავადმა მარუშაძემ. კვლავ იწყება ტორტლას გლეხობის აწიოკება. თავადი სასტიკად იძიებს შურს აჯანყებულებზე.

ს. მგალობლიშვილი უსამართლობით დაჩაგრული სოფლის სიდუხჭირის შესანიშნავი მხატვარია, მაგრამ როგორც ყველა ხალხოსანმა მწერალმა, მანაც ვერ შეძლო ეჩვენებინა სწორი გზა ხალხისათვის ამ უსამართლობიდან თავის დასაღწევად. მას მთავარ ძალად გლეხობა მიაჩნდა და უგულებელყოფდა პროლეტარიატის როლს რევოლუციურ ბრძოლაში.

როგორია მწერლის ცხოვრების გზა? იგი დაიბადა 1851 წელს ქართლში, დირბელი მღვდლის ზაქარიას ოჯახში; სწავლობდა ჯერ გორის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში. სემინარია რომ დაამთავრა, 1893 წლამდე მასწავლებლობდა გორის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ მსახურობდა ჯერ ფოთის ეპარქიის, ხოლო შემდგ თბილისის ეგზარხის კანცელარიებში. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა გასული საუკუნის მე-70 წლებში. თანამშრომლობდა თითქმის ყველა ქართულ პერიოდულ გამოცემაში.

1 აგვისტოს შესრულდა მწერლის დაბადებიდან 100 წელი.

მეშახტეთა დღე

ქვანახშირი ისეთია მრეწველობისათვის, როგორც პური ადამიანისათვის. საბჭოთა მთავრობის მიერ მეშახტეთა დღის დაწესება ნათელი გამოხატულებაა სახალხო მეურნეობის ამ დარგის უდიდესი მნიშვნელობისა და იმ მზრუნველობისა, რასაც პარტია და ხელისუფლება, პირადად დიდი სტალინი უწევენ ჩვენს გმირ, მამაც მეშახტეებს, მრეწველობის პურის — ქვანახშირის—მომპოვებლებს.

ჩვენმა მეშახტეებმა წარმატებით შეასრულეს მეოთხე სტალინური ხუთწლედის გეგმა. ამას, ადამიანთა მამაცურ შრომასთან ერთად, ხელი შეუწყო შახტებში დამკვიდრებულმა მაღალმა საწარმოო ტექნიკამ, მექანიზაციამ. არსად, არც ერთ ბურჟუაზიულ ქვეყანაში ისე არ არის შემსუბუქებული ადამიანის შრომა შახტებში, როგორც საბჭოთა ქვეყანაში.

მთელს ჩვენს დიად სამშობლოშია ცნობილი მაღალხარისხოვანი ქართული ქვანახშირი. ტყიბულისა და ტყვარჩელის მაღაროები წლითიწლობით ამაღლებენ ქვანახშირის მოპოვების დონეს.

საბჭოთა კავშირის მრავალ ასეულ მეშახტეს მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება. მათ შორის ბევრია ქართველი მეშახტე.

ბედნიერი, ლაღი ცხოვრებით ცხოვრობენ საბჭოთა მეშახტეები. მათთვისაა შესანიშნავი, კეთილმოწყობილი ქალაქები, საერთო საცხოვრებლები, კლუბები და პარკები. ჩვენი ახალგაზრდობისათვის არსებობს სპეციალური უმაღლესი სასწავლებლები, სადაც სამთო საქმეს ეუფლებიან.

ჩვენი ხალხის, ჩვენი ბედნიერი თაობის საამურ ცხოვრებას, ჩვენი სწავლისა და განათლების, ჩვენი სამშობლოს ეკონომიკის ძლიერების საქმეს ემსახურება სახალხო მეურნეობის ისეთი დარგიც, როგორიცაა ქვანახშირის მოპოვება.

27 აგვისტო მეშახტის დღეა.

21/154
3.10/155